სახალხო გაზეთი

№ 659 ხუთშაბათი, 26 ივლისი, 1912 წ. № 659

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა ,,შრომა''-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში--მორსკაია 11, ვარშავაში--მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში--ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება ,,სახალხო გაზეთი''-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ [illegible] თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის:
ტფილისი, ქართული ,,სახალხო გაზეთი'' 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
,, ,, თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

იმ ხელის მომწერთ

რომელთაც „გრდემლი“ ერგებათ და ჯერ არ წაუღიათ, ვთხოვთ ან წაიღონ რედაქციიდან ან გამოგზავნონ ფოსტის ხარჯად 30 კ. (შეიძლება მარკებით) რომ ადგილობრივ გაუგზავნოთ.

სახ. გაზ. კანტორა.

სახალხო გაზეთი სურათებიანი დამატებით მიიღება ხელის მოწერა 1912 წლისათვის.

(არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე, უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე).

წელიწადში ღირს 8 მან. 50 კაპ.
1 მარიამობისთვიდგან წლის დამლევამდე ღირს 3 მ. 75 კ.
თვეში ღირს — — 75 კაპ.
(როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარედ).
საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.

წლიურ ხელის მომწერთ (რომელთაც პრემია „გრდემლი“ ერგებათ) 8 მან. 50 კ. უნდა ჰქონდეთ გადახდილი შემდეგ ვადებზე: პირველად 3 მ., მარტისათვის 5 მან., 1 პაისისათვის 7 მ. და დანარჩენი უნდა გადახდილი იყოს 1-ლ ივლისამდე.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და მხოლოდ მიმდინარე წლის ბოლომდე.

გაზეთს, ფულის მიღების უფლებით, არსად არავითარი აგენტი არა ჰყავს (გარდა წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის ტფილისის წიგნის მაღაზიისა) და ამიტომ პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ფული ან ფოსტით არის გამოგზავნილი, ან პირდაპირ კანტორაშია მიღებული.

რედაქცია დაუბეჭდავ ნაწერების შესახებ ავტორებთან მიწერ-მოწერას არ ჰმართავს, თუნდ საპასუხო მარკაც იყოს გამოგზავნილი და დაუბეჭდავ წერილებსაც არ ინახავს. დანარჩენ შემთხვევაში ყოველ შეკითხვის ან რაიმე ცნობის შესახებ საპასუხოდ საჭიროა **ფოსტის მარკა.**

დანარჩენი პირობები იხ. გაზეთის სათაურში.

ლევან თაყაის ძე ღლონტი შვილებითურთ აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 29 ივლისს დანიშნულია წლის წირვა და პანაშვიდი მის განსვენებულ მეუღლის

ნატაშა ბეჟურის ასულის

სულის მოსახსენებლად ქ. ბათომის ძველ ტაძარში. (1.1401.1)

ახალი კლუბი

პარასკევს, 27 ივლისს,

საღამოს 8 საათზე, კლუბის სადარბაზო ოთახში, დანიშნულია მეორე საგანგებო საერთო

კლუბის წევრთა კრება. (2.1392.1)

ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების ყალამშიისა (ბორჩალოს მაზრაშია) და **ატენის** (გორის მაზრაშია) **სკოლებისათვის საჭიროა**

გამოცდილი მასწავლებელი.

მასწავლებლის ჯამაგირი თვეში 30 მან.; გარდა ამისა მიეცემა ბინა, შეშა და მოსამსახურე. თხოვნა უნდა გამოიგზავნოს წ. კ. საზოგადოების სახელზე ტფილისში 10 აგვისტომდე. (3.1397.2)

ტფილისის კერძო სამკურნალო

ძმენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, ვეტცელის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

ლამბაშიძე ვ. დ. (ყოველ დღე, გარდა კვირისა). 11½—12 საათ.
დავითიანი რ. ს. (ყოველ დღე) 1—2.
ჭიჭინაძე ტ. ს. (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10.
მაღალაშვილი გ. გ. (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12.
მანსვეტაშვილი ვ. მ. (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3.
მიქელაძე შ. ა. (ყოველ დღე) 12½—1.
ფიდოროვი ე. გ. (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.

მარკევიჩი ვ. ლ. კონსულტანტი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 11½—12½.
მელიქიშვილი ნ. მ. (ყოველ დღე) 10—1.
ფირალოვი რ. ზ. (ყოველ დღე) 12—1.

ექიმი-ქალი **ვერბიცკა-ფირალოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12.
მელიქიშვილი ნ. მ. (ყოველ დღე) 10—1.
სულაკოვი ა. ი. (ყოველ დღე) 12—1.
თიკანაძე ი. ე. (ყოველ დღე) 1—2.

ლამბაშიძე ვ. დ. (ყოველ დღ. კვირ. გარდა), 12½—12 ს.
მიქელაძე შ. ა. (ყოველ დღე) 12½—1.
ფიდოროვი ე. გ (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.

გედევანიშვილი მ. ა. (შაბათობით) 10½—11.
დავითიანი რ. ს. (ყოველ დღე) 1—2.

ათენიანცი ნ. ა. (ყოველ დღე) 1—2.
ორემბოვსკი ნ. ს. (ყოველ დღე) 2½—3.

მუსხელიშვილი ვ. ს. (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½.

მზარეულიშვილი მ. ი. (ყოველ დღე) 1—1½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია სისხლის გასინჯვა, ათამანგ. Wasserman. რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კოხსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; ,, 606 '' წამლის შეშხაპუნება, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. (წ. 1010.78)

პაიებზე დამყარებულ ამხანაგობის

„ს. მ. კირაკოზოვი და ბ. გ. ოგანოვი“-ს,

გამგეობა ამით საყოველთაოდ იუწყება, რომ ამხანაგობის წესდება უმაღლესად დამტკიცებულია 1912 წ. 10 ივნისს, **ამხანაგობამ დაიწყო მოქმედება ამა წლის 1 ივლისიდან და ძირითად თანხად 1,200,000 მანეთი აქვს.**

ამხანაგობის გამგეობა იმყოფება **ქ. კავკავში.** გამგეობის დირექტორებად ამორჩეულნი არიან:

სერგეი მარკის ძე კირაკოზოვი, ივანე გოლდანის ძე ოგანოვი, გრიგორი გოლდანის ძე ოგანოვი და ივანე ილიას ძე ვავილოვი.

ამხანაგობა აწარმოებს ნარდად (Оптомъ) და წვრილ ვაჭრობას ფართლეულისას.

I. ნარდზე სავაჭრო საწყობებია:

კავკავში,
გროზნაში,
გეორგიევსკში,
ტფილისში,
ქუთაისში,
გეორგიევსკისა
და გროზნის
ბაზრობაზე.

II. წვრილად ვაჭრობა არის:

კავკავში,
გეორგიევსკში,
პიატიგორსკში,
ტფილისში,
ქუთაისში,
სტანიცა არდონში
და სოფ. პროს-კოვეისკში.

(10.559.7)

კვირას, 29 ივლისს, 1912 წ. შუადღის 12 საათზე **ავლაბრის სახალხო თეატრის დარბაზში** დანიშნულია ავლაბრის სახალხო წარმოდგენების მმართველ წრის წევრთა

საზოგადო კრება.

განსახილველია:

1) წლიური ანგარიში.
2) ხარჯთაღრიცხვა 1912—1913 წლისა
3) არჩევნები გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრებისა.
და 4) მიღება ახალი წევრებისა. (2—565—2)

გამოსულია და იყიდება

ი. გედევანიშვილის პიესა

„გამცემი“

დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

ქ. შ. წერა-კითხ. გავ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში

იყიდება წიგნები: ისტორიის, საეკლესიო და საეთნოგრაფიო მასალები:

Такайшвили Е., Описаніе [illegible] населенія т. I в. I . . ფ. 1 მ.
„ т. I. в. II . . „ 1 „
„ т. I. в. III . . „ 75 კ.
„ т. I. в. IV . . „ 75 „
„ т. II. в I. . „ 75 „
„ т. II в. II. . „ 1 მ.
„ т. II в. III . . „ 1 „
„ т. II. в IV . . „ 1 „
Археологич. экскурсіи, разысканія и замѣтки в. I. . ფ. 75 კ.
„ „ в. II . „ 75 „
„ „ в. III . „ 1 მ.
Орбели I., Каталогъ Анійскаго музея древностей в. I, опис. предм. I отд. . . ფ 1 მ.
Краткій путеводитель по городищу Ани . . . . . ფ. 40 კ.
[illegible] Грузіи памятная записка о нуждахъ Груз. народа . . . ფ. 1 მ. 25 კ.
Джаваховъ И. А.. Исторія церковнаго разрыва между Грузіею и Арменіею . . ფ. 20 კ.
Джанашвили М. Исторія груз. церкви . . . . . . ფ. 40 კ.
Прот. Кекелидзе. Іерусалимскій канонаръ VII вѣка (грузинск. версія) . . . ფ. 2 მ.
Судьбы грузинской церкви в. IV . . . . . . ფ 20 კ.
Гамбашидзе, Гаенатскій монастырь . . . . . ფ. 25 კ
რენანი. ცხოვრება იესოსი, თარგ. ია ეკალაძისა . . ფ. 50 კ.

ადრესი: Тифлисъ, О-во распр. Гр. ср гр. насел. (წ. 1411.82).

საგურთალოზე

მშვენიერ ალაგას,

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხკუთხ **საჟენი 80 კ.-დან.**

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 6 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. (წ. 1147 347)

შპალიერი

ძმ. ტარნოპოლთა ქარხნისა.

ტფილისის განყოფილება.

იმყოფება გოლოვინის პროსპ., № 21, სახ. არტისტ. საზ., **ტელეფ.** № 355. **საწყობში** ყოველთვის ბლომად არის შპალიერი, რომელიც **საქარხნო ფასებში იყიდება,** თოფი 8 კაპ.-დან 6 მან.-დე. ქარხანას აქვს საწყობები რუსეთის იმპერიის ყველა დიდ ქალაქებში.

შპალიერის ნიმუშები იგზავნება უფასოდ. (50.159.34)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩა, **№ 3, ს. გაბაშვილისა.** (უ)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. **№ 8. ტელეფონი № 695.**

ე. ს. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს,

ა. ნ. დიასამიძე ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.

ზ. ა. პოპოვი ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11 ½.

შ. ა. მიქელაძე შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით,

წამლობა ,,606''-ი

(წლ—1018—40).

დოქტორი მედიცინისა

ი. ე. თიკანაძე

სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადოსტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათაბუნების, სადოსტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5--7-მდის. კიროჩნის ქ. სახ. № 18, თავ. ვაჩნაძისა, ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.

საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. ტელ. № 182. (თ. 1037 257)

ექიმი ვ. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალის ავადმყოფ. ყოველ დღე დილ. 9—11 ს. დიდი მთავრის ქ., № 67, სახლი სვანიშვილისა.

ექიმი კბილისა და ღრძილებისა **პ. ა. ქაჯაია**

იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151 (დიდუბე). (თ.—1049—130)

სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დი. ქ.-ზე, № 3, ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

ასპისოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე. 1—2 საათამდე.

მღებრიშვილი—შინაგ., ბავშვ.—ორშაბ. ოთხშ., პარასკ., კვირაობით 4—5 ს.

გრეიცი—თვალ. ავადმყ., ყ.-დღე 12-1 ს.

არგუთინსკი, შინაგ., ბავშვ. ყ.-დ. 10 ს. ½ ს.

მონსე. ბავშ. და შინაგ. ავად. ორშ., ოთხ პარასკ. 2—3 საათ.

ნოვიცკი. ქალთა ავად., ყ.-დ. 1—2 ს.

კალამკაროვი. ქალ. ავად. ყ.-დღ. 12—1 სათ.

უკლადნიკოვი. შინაგ. ავად. სამშ., ხუთშაბ. 4—5 საათ.

თეთრაძე. სიფ., ვენერ., კან. ყ.-დ. 1—3 ს

ჩუდნოვსკი ი. ნერვ., სულ., ელექტრო-[illegible] 11½—1 ს. დღე 2—3 საათ.

ერმოლაევი—ბავშვ., შინაგან.-ყ. დღ. 1-2 ს.

ტერ-ნერსესოვი. ქირურგ. ყოველ დღე გარდა ხუთშ. 1—1½ ს.

იოსელიანისა ქალ. ავად., ორშ. ოთხშ., პარასკ., კვირ. 11—12 საათ.

ბესსერი შინაგ., ნევრ.-ავადმ. — სამშ., ხუთშ , შაბ. კვ. 2—3 ს.

ბაგდოევისა, კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.

ლიმონი. კბილ. ყ.-დღ. 10—11 ს.

გურგენიძე შინაგ., სამშ., ხუთშ. 4—5 ს.

კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ 606-ს

საღამოს 5—7 საათამდე.

კონსულტანტი ხირურგ. ავადმყ. დამსახურ. პროფეს. საიმპერ. სამხ. მედიკ. ავად. პროფ. მ. ს. სუბოტინი ორშ., ხუთშ. 3-4 საათ., წინადაწინვე ჩაწერით. (თ—1365. 13)

ექიმი აბასთუმანში **ე. ი. მინასიანცი**

იღებს ავადმყოფებს. აგარაკი ტერ-მარქაროვისა. (წ. 1347.212)

ექიმი კბილისა აბასთუმანში **ალ. სოლოღაშვილი**

იღებს ავადმყოფებს. აგარაკი ტერ-მარქაროვისა. (0—1334—28)

ექიმი ქალი კბილისა **ნინო რცხილაძე**

20 ივნისიდან მიიღებს ავადმყოფებს **ქ. თელავში.** 3—9 საათამდე.

ექიმი პ. არდაზიანი

შინაგან და ბავშვებ. ავადმყ. (სპეციალ. ფილტვებ. სნეულ. რევმატიზმი-ქარები) ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. 11—2 ს. საღამ. 5—7. (25.1045.162)

ექიმი ი. ი. ბერიშვილი

სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა და კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედ. ქ.,** № 94, საფოსტო განყოფი. პირდაპირ. (25—1178—69)

ექიმი ნ. ტ. მულინი

ყურისა, ცხვირისა და ყელით ავადმყოფ.

გადავიდა

ვერის დაღმართზე, № 3. სახ. ოსიპოვისა. (3—570—1)

ექიმი შ. ა. მიქელაძე

იღებს **შინაგან და ბავშვათა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.--6½ საათ. კახეთის ქ., №

ექიმი ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულ. ავადმყოფ. დილის 9—3 საათ., საღამოს 7 ს., ბანკის ქუჩა, № 12.

ექიმი ს. ი. გძელიშვილი

შინაგანულობისა და ვენერიულ ავადმყ. დილ. 9—11 საათ., საღ. 6—8 საათ. დიდუბე, საგურამოს ქ., (მუშტაიდის ბაღის შუაგულიდგან მარჯვნივ), № 21, ხრამელაშვილის სახლი. (0—550—:2)

ქართული პრესა

ჩვენი სოფელი რომ ღვთის ანაბარადაა მიტოვებული, ეს ყველამ კარგად იცის. მას არ გააჩნია დროის შესაფერი ნორმალური სკოლა, ან სხვა რამ კულტურული დაწესებულება, რომელიც სალ ცოდნას ჰფენდეს სწავლა მოწყურებულ ხალხს; მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ქვეყანას ჭარბად ეზრდება „ნასწავლი“ ხალხი, სოფელი დღემდე მოკლებულია ჭეშმარიტ გულშემატკივარსა ხალხს და მძიმე, საზარალო ტვირთად აწვება მის, ისედაც დაქვეითებულ ოჯახს.

გაზეთ „კოლხიდა“-ში დაბეჭდილია საყურადღებო წერილი, რომელიც ერთს ამგვარ საზარალო ჩვეულებას, „ტირილს“ შეეხება:

„მინდა აღვნიშნო ერთი ჩვეულებათაგანი, სახელდობრ ჩვენეაური ტირილი, გასვენება, სადაც დამსწრე ორგვარ, ერთმანეთის საწინააღმდეგო სურათს ჰხედავს: ერთის მხრივ, გამოუთქმელი მწუხარება, აუტანელი ტანჯვა, გულ-შემზარავი ტირილი მშობლებისა და ნათესავებისა: მეორეს მხრივ—სადღეგრძელოები, ლოთობა. ჰხედავ ამას, განცვიფრებაში მოსდიხარ, ზიზღით ივსები და თავის თავს ეკითხები, რა აქვს ამ ორ მოვლენას ერთმანეთთან საერთო? დაჩაგულ ოჯახის მწუხარება ბუნებრივი და ყველასათვის ადვილი გასაგებია. რაც შეეხება მეორე მხარეს, აქ კი ბევრი რამ არის, არამც თუ გაუგებარი, არამედ სრულიად უადგილო, უაზრო, გასაკიცხი და საზიზღარიც ყველა ეს ჩემის აზრით, ბარბაროსულ კერპთაყვანების დროის ნაშთი უნდა იყოს. ოჯახი ჰკარგავს ძვირფას წევრს, გარშემო ჯოჯოხეთია გამეფებული, ტირილი, ვაივაგლახი, და ამ დროს, ამავე უბედურმა ოჯახმა უნდა იზრუნოს მოტირალთა შეხვედრა-მიღებაზე, მათ გამასპინძლებაზე, კარგ პურ-ღვინოზე, საკმაო ჭურჭელზე და სხვა.—

შეიძლება, სხვა რამ იყოს ცხოვრებაში ამაზე უმგვანო, ულამაზო და უადგილო?

სამი-ოთხი დღის განმავლობაში, ხან ერთ კვირასაც, ისეც თავზარდაცემულ ოჯახში ერთი მიხეთქმოხეთქება, ერთი მზადება და დავიდარაბაა.—კიდევ კარგი, თუ საცოდავ ოჯახს რამე აქვს. უმეტეს შემთხვევაში ამ უაზრო ცერემონიის მოწყობისათვის ვალში ვარდებიან, ჰყიდიან მარჩენალ საქონელს, აგირავებენ მიწას და უბედურებას იორკეცებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების გარშემო.** გუშინ არავითარი ცვლილება არ მომხდარა იმ ამომრჩეველთა სიებში, რომელთაც სათათბიროს არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება სამსახურის ცენზით აქვთ.

— გუშინდლამდე ქალაქის გამგეობაში განცხადებანი შეიტანეს და საარჩევნო სიებში ჩაწერა ითხოვეს: 53 ბინის დამქირავებელმა, რომელნიც ბინის სახელმწიფო გადასახადს არ იხდიან და 9—პენსიონერმა.

— გუშინდლამდე ქალაქის გამგეობის სასტატისტიკო ბიურომ ბინის გადასახადის მიხედვით საარჩევნო სიებში შეიტანა: რუსთა კურიიდან—1243 კაცი, ხოლო საერთო—2,500.

— გუშინდლამდე ბიურომ სავაჭრო-სამრეწველო გადასახადის მიხედვით საარჩევნო სიებში შეიტანა: რუსთა კურიიდან—223 კაცი და საერთო—1368.

◆ **წესიერ დასვენების** ახალ სავალდებულო დადგენილებათა ზოგიერთ მუხლის გადასათვალიერებლად ქალაქის გამგეობასთან დაარსდა საგანგებო თათბირი, რომლის თავმჯდომარედაც არის ქალაქის გამგეობის წევრი თავ. ნ. ი. არღუთინსკი-დოლგორუკოვი.

◆ **თავშესაფარი სასულიერო პირთა ქვრივებისა და ობლებისათვის.** სახელმწიფო ქონებათა სამმართველომ ღარიბ სასულიერო პირთათვის სამზრუნველოს 600 ოთხ-კუთხი საჟენი სახაზინო მიწა დაუთმო ნავთლუღში, კახეთის გზატკეცილისაკენ. ამ ადგილზე სამზრუნველო თავშესაფარს ააგებს სასულიერო პირთა ქვრივებისა და ობლებისათვის.

◆ **წალკის წყაროების დასათვალიერებლად** ქალაქის საბჭოს ხმოსნები შაბათს, 28 ივლისს მიემგზავრებიან. ხმოსნებმა უნდა გამოარკვიონ, რამდენად შესაძლებელია იქაურ წყალის გამოყვანა ტფილისში. ხმოსნებთან ერთად მიემგზავრება ფოტოგრაფი ერმაკოვიც, რომელიც წალკის წყაროებისა, აგრეთვე მის მიდამოების სურათებს გადაიღებს.

◆ ტფილისის **ქალაქის გამგეობას** ქალაქის საბჭოში შეაქვს დასამტკიცებლად [illegible] გაფუჭების წინააღმდეგ ბრძოლას.

◆ **ტიმოშკინის განცხადება.** ქალაქის გამგეობამ სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატად ნამყოფი ტიმოშკინი წელს აღარ შეიტანა საარჩევნო სიებში, რადგანაც მას ქ. ტფილიში ცენზი არ აღმოაჩნდა. გუშინ ტიმოშკინმა განცხადება წარუდგინა ქალაქის გამგეობას, სადაც მოჰყავს ახალი განმარტება სენატისა და დასძენს, ქალაქის გამგეობამ უნდა იხელმძღვანელოს იმ ცენზით, რომლითაც მე მესამე სათათბიროს არჩევნებში შეტანილ ვიქმენ სიებშიო. ქალაქის გამგეობას ეს განცხადება განსახილველად გუბერნატორისათვის გაუგზავნი.

◆ **ვაჭრობა მრეწველობის მინისტრის თანაშემწემ** დეის. სტ. სოვ. ლ. პ. ბარკმა გუშინ საბოტანიკო ბაღი დაათვალიერა.

◆ ტფ. ქალაქის საქიმიო ლაბორატორიაში მიიტანეს **კვასის ნიმუშები** ალექსანდრეს ბაღის შუაგულ მდებარე ვართან ასტროვის ბუდკიდან. გამოკვლევამ დაამტკიცა რომ კვასი დამჟავებულა და სახმარებლად უვარგისია.

◆ გუშინ, 25 ივლისს, ტფილიში დაბრუნდა ტფ. საბოტანიკო ბაღის **ბოტანიკი** დ. ი. სოსნოვსკი, რომელიც საბოტანიკო მიზნით შავის ზღვის ნაპირებში მოგზაურობდა. აქედან იგი გაემგზავრება ბოტანიკ-მებაღე ვ. მ. სავიჩთან ერთად ერევნის გუბერნიაში სადაც მცენარეების შეგროვებას შეუდგება.

◆ სექტემბერში გამოვა კავკასიაში პირველი ალმანახი **„პოროსლი“**, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ აქაური მწერლები.

◆ **ხორცისა და პურის ნიხრის გადასათვალიერებლად** ქალაქის საბჭოს სამეურნეო კომისიას დღეს კრება ექნება.

◆ **ტრამვაის დირექტორი ა. ბელოი,** რომელიც სამსახურის საქმეთა გამო საზღვარ გარედ იყო წასული, ტფილისში დაბრუნდა.

◆ **შეიპყრეს** გუმბრში და ტფილისში ჩამოიყვანეს გევორქ დოლმაზოვი, რომელსაც ბრალად ედება ტფ. პირველ სავაჟო გიმნაზიის მოსწავლის ედიგაროვის დაჭრა რევოლვერით.

◆ **„მოსავალი“**. რედაქციამ მიიღო სამეურნეო ჟურნალ „მოსავალი„ს ივლისის ნომრები (13 და 14), სადაც მოთავსებულია წერილები ვ. გულბაათიშვილისა, პრო. გოლდენისა, ა. კახელაძისა, პ. ავერკინისა, აკუპოვისა, ვ. ი. ტიეზოსი, ე. ახვლედიანისა, ერ ჯაველიძისა და ირ. ფორაქიშვილისა.

◆ **წესიერ დასვენების [illegible]** [illegible] სახაიების პატრონებმა. ისინი თხოულობენ, ნება მოგვეცით, დილის 5 საათიდან ღამის 12 საათამდე ვივაჭროთო.

◆ აკოფ მატინოვმა ტფილისის გუბერნატორს სთხოვა, ნება დართოს გამოსცეს ტფილისში რუსულ ენაზე **ყოველდღიური გაზეთი** „სპრავოჩნი ლისტოკ“-ი.

◆ ახალშენი ეკატერინენფელდში (ბორჩალოს მაზრა) მართლმადიდებელ ეკლესიის **აღმაშენებელმა კომიტეტმა** კავკასიის უმაღლეს მთავრობის წინაშე შუამდგომლობა აღძრა, რათა ერთდროული დახმარება მისცენ ეკლესიის დამთავრებისათვის.

◆ ქ. ნინო სამნიაშვილის ასულმა ტფ. გუბერნატორს სთხოვა, ნება დართოს გამოსცეს ტფილისში ყოველდღიური **ქართული ჟურნალი „მწიგნობრობა“**.

◆ ტფ. გუბერნატორმა ტფილისის საბალოსნო სკოლის გამგეს ნება დართო 26, 27 და 28 ივლისს გამართოს **მუშტაიდში სეირნობა**, ამ სკოლის ულარიბეს მოწაფეთა სასარგებლოდ.

◆ კავკასიის სომხებს საქველმოქმედო საზოგადოების თელავის განყოფილების თავმჯდომარეს ტერ-სარქისოვს ტფ. გუბერნატორმა ნება დართო გამართოს თელავში **სეირნობა** ამ საზოგადოების სასარგებლოდ.

◆ **ტფ. ქალაქის გამგეობამ** ტფ. გუბერნატორს წარუდგინა ოთხი ნახატი მტკვრის ორივე ტოტის—სიღრმისა და ქალაქის რიყის ნაწილის გეგმა. ეს ნახატები შეადგინეს მტკვრის მარჯვენა ტოტის ამოვსების გამო, რომელიც საჭიროა შუაგულ ქალაქის ჯანსაღობისათვის.

◆ **ავლაბრის საბავშვო სასადილოს სასარგებლოდ** ქალაქის გამგეობამ 120 მან. გადასდო.

◆ **მასწავლებელ და ამღზრდელ ქალთა საბავშვო ბიბლიოთეკის სასარგებლოდ** ქალაქის. გამგეობამ 100 მან. გადასდო.

◆ შეიპყრეს მუხრანის ქუჩაზე არტემ მოსესას ძე თუმანოვი, რომელიც გორში იყო გადასახლებული პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ და ტფილისში ნებადაურთველად ჩამოვიდა.

◆ 24 ივლისს ტფილისში 24 უპასპორტო შეიპყრეს.

საზოგადოებანი და კრებები

◆ კავკასიის **მეხილეობის საზოგადოების** წევრს ი. ნ. ვორონოვს, რომელიც ამ ჟამად შავი ზღვის ნაპირებზე იმყოფება დაევალა: მოაწყოს სანერგეები ხისდაგვარ სამეფო გვიმბრებისა (ჩადუნის), რომელიც ხარობს ადლერის მიდამოებში და გააშენოს ტყე შესანიშნავ პიწუნდის ნაძვისა, პიწუნდის მონასტრის მახლობლად.

◆ ხვალ, 27 აგვისტოს მოხდება [illegible] უნდა განიხილონ.

გორი

◆ შაბათს, 28 მკათათვეს, ცხინვალის ხეობისკენ **მიემგზავრება პატარა ჯგუფი.** მოგზაურნი შუადღის მატარებლით გავლენ ს. გომისკენ, აქედან ეტლებით გაემგზავრებიან სოფ. ავლევისაკენ, სადაც დაათვალიერებენ პატივცემულ კ. ამირეჯიბის მამულს და მეორე დღეს გაუდგებიან ცხინვალისკენ. მოივლიან სოფ. ქვემო და ზემო ნიქოზს, ქურთას, არბოს, მერეთს. დაათვალიერებენ საისტორიო ნაშთებს—ძველ ციხე-ეკლესიებს, საყინულეებს, ხილის ბაღებს ფურცელაძისას, ხეთაგურისას, მაჩაბლისას და სხვ გაეცნობიან სოფლის ქონებრივ მდგომარეობას, სწავლა-განათლების საქმეს, ჩაიწერენ, თუ მოასწრეს, ხალხურ ზღაპრებს, ლექსებს, შელოცვებს და სხ. ჯგუფში უკვე ჩაწერილია სამი ქალი, არიან სტუდენტები, მასწავლებელნი, გაზეთის თანამშრომელნი და სხ. ვიმედოვნებთ, სოფლის ინტელიგენცია თანაგრძნობით შეეგებება ახალგაზრდა მოგზაურთა სასიამოვნო გარდაწყვეტილებას და ზნეობრივ დახმარებას გაუწევს საჭირო ცნობების მიწვდენით თუ სხვა რამით.

(„ქართ“)

ქუთაისი.

◆ მომავალ ჩვენ თეატრალურ სცენაზე დღემდე არა ისმის რა. ჩვენი **დრამატიული კომიტეტი** მცონარეობას იჩენს. ამას წინად იყო იმის ცნობა, რომ დასის კარგი ძალები, ელ. ანდრონიკაშვილის ასული, ყალაბეგიშვილი, კორიშელი და სხვანიც პირობით შეჰკვრიან შალვა დადიანს და შავი ზღვის ნაპირა ქალაქებში აპირებენ სეზონებით წარმოდგენების მართვასაო. ვინ დარჩა ქუთაისის დასს, ამათ ნაცვლად ვის იწვევენ და ან ვის ანდობენ დასის მოწყობას—ჯერ ესეც არ გამორკვეულა.

◆ კვირას 7 საათზე ტფილისის ქუჩაზე, კაზაკების კაზარმასა და გუბერნატორის კანცელარიის შუა შემდეგი ამბავი მოხდა: ერთი ახალგაზდა ყმაწვილი ქუჩაზე, ბარქაიას სახლის პირდაპირ ფეხსაცმელს აწმენდინებდა. ამ დროს ორმა კაზაკმა, ერთმა უახალოხოთ და უქუდოთ, მეორემ კი ჩოხითა და ხანჯლით გამოიარეს. ხანჯლიანმა ყმაწვილს ხელი ჰკრა და თხრილში გადაუშვა. ყმაწვილმა სიტყვა შეუბრუნა, რის შემდეგაც მოჰყვნენ მის ცემა-ტყეპას. მე ამ დროს იქვე ოჯახში აივანზე ბავშს ვასწავლიდი. ამ სურათის დანახვაზე იძულებული გავხდი მეშველა რითიმე ახალგაზდისათვის; იღბლად „გოროდოვოი“ დავინახე, № 23, რომელსაც ვუთხარი—ეშველა ყმა[illegible] ჩემი საქმეო“. ქუჩის ერთი დარაჯიც არ გამოჩნდა დიდხანს. ბოლოს საიდანღაც გაჩნდა ოთხი დარაჯი, მაგრამ კაზაკებს ვერც ამათ ახლეს ხელი. ძლივს გასაჭირით, შეგროვილმა ხალხმა, ორმა ხანში შესულმა მანდილოსანმა შეაგულიანეს დარაჯები და როგორც იყო დიდის გაჭირვებით წაიყვანეს გაფთრებული მოჩხუბარნი საპოლიციო ნაწილში.

◆ 23 ივლისს ხონიდან მომავალ დილიჟანს **ოთხი ყაჩაღი** დახვედრია და სროლა აუტეხიათ. დილიჟანი შეჩერებულა. ყაჩაღებს მგზავრები დაუთვალიერებიათ, არავისთვის არაფერი ვნება არ მიუყენებიათ, არც რამე წაურთმევიათ და მალე მიმალულან. დამფრთხალ მგზავრებს გზა მშვიდობით გაუვლიათ. („კოლხ.“)

ოზურგეთი

◆ 17 ივლისს, ოზურგეთის თვითმართველობის დარბაზში სტუდ. აკაკი პაპავამ წაიკითხა ფრიად საყურადღებო ლექცია „კრიზისის ხანა ქართულ ლიტერატურაში და აღორძინება ქართული ლიტერატურისა“. მიუხედავად იმისა, რომ დღეს ოზურგეთში ნაკლები ხალხია, ლექციას მაინც საკმაოდ დაესწრო. 19 ამ თვეს ლექტორმა იგივე ლექცია გაიმეორა აგარაკ ბახმაროში, რომელსაც ხალხი ბევრი დაესწრო. ლექციის შინაარსით და მისი მკაფიო განმარტებით მსმენელნი ორივე ადგილას კმაყოფილნი დარჩნენ. კვირას, 29 ივლისს, ლექცია მისგანვე გამეორებულ იქნება დილით დ. ხიდისთავში, საღამოს კი დ. ჩოხატაურში.

სოფლად

◆ **ბაკურციხე.** 6 აგვისტოს, ორშაბათს, სოფ. ბაკურციხეში ტფ. გუბერნატორის ნება დართვით, ადგილობრივ **დაუმთავრებელ სკოლის სასარგებლოდ** თავ. მ. ზ. ვაჩნაძის თაოსნობით **გაიმართება წარმოდგენა.** დადგმულ იქმნება სხვათა შორის პ. ირეთელის დარამა „დამარცხებულნი“. იმედია ფართო საზოგადოება დაესწრება აღნიშნულ წარმოდგენას და მით დაეხმარება ამ საქმეს.

დიმიტრი ყიფიანის ბიოგრაფიის გამო.

ოც და ხუთი წელიწადი სრულდება ამ წლის ოქტომბერში, რაც დიმიტრი ყიფიანი გარდაიცვალა და იმ დროისათვისაც არა გვაქვს ჩვენ მისი სრული ბიოგრაფია!

ჩვენ ხალხს არ ეპატიება მისი მოღვაწეობის არქივებში ჩაჩქმალვა, ამას ვლაპარაკობ მე არა როგორც მახლობელი მისი პირი, არამედ როგორც მისი სამშობლოს ერთ-ერთი შვილი.

დიმიტრი ყიფიანის ბიოგრაფიის პატივისცემით არ გათავდება ჩვენთვის, ჩვენი ახალითაობა რამოდენ ზნეობრივს და სულიერ ძალას შეიძენს მისი პიროვნებისა და მოქმედების ყოველმხრივი გაცნობით!

უნდა გადაიკითხოთ ყველა ის წერილები, რომლებითაც მისთვის მიუმართნიათ, ეროვნების განურჩევლად, დიდსაცა და პატარასაც თავისის მდგომარეობით,—რომ დარწმუნდეთ და გაიკვირვოთ, თუ რა ღრმა პატივისცემით, პირდაპირ თაყვანისცემით ეპყრობიან ყველანი მას!

ხომ უნდა [illegible]—ყველა ეს რითიმე! და განა ჩვენმა ახალთაობამ [illegible]?

გაგებული მაქვს, რომ ლაპარაკი არის უკვე მისი ბიოგრაფიის შესახებ. ყოველი ქართველი მოვალეა ხელი შეუწყოს ამ ბიოგრაფიის შედგენას, ვისაც კი რითი შესწევს ძალა. ბევრს ალაგას არის გაფანტული საჭირო ცნობები დიმიტრი ყიფიანის მოღვაწეობისა, ჩვენს ბანაკში, სადეპუტატო საკრებულოში, მთავარ-მართებლის კანცელარიაში, კერძო პირებთან და სხვაგან. ბევრი რამ მის ოჯახშიც არის შენახული.

ჩავსთვალე-რა ჩემს წმიდა მოვალეობად, რომ მისი ბიოგრაფიის შედგენაში პირადად მეც მივიღო მონაწილეობა, კაი ხანია შევუდექი მისი ქაღალდებისა და წერილების გადაშინჯვას ჩემს ოჯახში. ჯერ რაც კი გადავშინჯე, საგულისხმიერო ბევრია შიგ.

ვაცნობებ ამას იმ პირს, ვისაც გულში უძევს ასეთი შრომის მიღება—ბიოგრაფიის დაწერა, რომ რაც კი რამ აღმოჩნდება საჭირო მასალა მისთვის—ყველფერს მიიღებს. ზოგიერთ კერძო წერილებს კი, რომლებიც როგორც საერთოდ სსაზოგადო მნიშვნელობისა, ისე მისი პიროვნებისა და ღვაწლის დამახასიათებელი იქნება ქართულად დაწერილს თქვენ მოგართმევთ დასაბეჭდად და რუსულად დაწერილს—რუსულ გაზეთს, რომ თარგმანით ოდნავადაც არ შეეცვალოს ხასიათი.

ამგვარად საძირკველი მაინც ჩაეყაროს ამ ფრიად საჭირო საქმეს, დიმიტრი ყიფიანის ბიოგრაფიის დაწერას. დროა მას მოჰკიდოს ხელი მადლიერმა და ამასთან ამის შემძლე ქართველმა. დროა ჩვენმა ხალხმა სრული და ნამდვილი წარმოდგენა იქონიოს მისი ღვაწლისა და პიროვნებისა, თვისი ღირსება—ნაკლულევანებით, რომ ერთიც და მეორეც თავის აწინდელ მოქმედებაში სამაგალითოდ გამოიყენოს

ნ. ბ. ყიფიანისა.

მოგზაურობა სოფლად

(წერილი გორიდან.)

შაბათს, 14 ივლისს, რამდენიმე კაცმა გადავწყვიტეთ ერთი დღით მაინც [illegible] ქალაქის მოუსვენარს, გულის გამწყალებელ ცხოვრებას და ბუნების წიაღში, სადმე სოფლად ცოტათი მაინც არის თავისუფლად ამოგვესუნთქა. ასეთ ალაგად ამოვირჩიეთ სოფ. **ძევერა**, რადგანაც ჯერ ეს ერთი გორიდან ახლოს არის და მეორეც იქ ზოგს ჩვენგანს ნათესავი ჰყავდა, ზოგსაც ნაცნობი. საღამოს ჩავსხედით ეტლში და ღამის ათ საათზე უკვე დანიშნულ ალაგას ვიყავით. ძევერა სულ 12—13 ვე-

---

მამულის დავალიანება საქართველოში.

II.

(თავად-აზნაურობის მიწა—ადგილი)

ტფილისის გუბერნია.

თავად-აზნაურობა მამულს მარტო სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკში როდი აგირავებს. სანამ სახელმწიფო სათ.-აზნ. ბანკი გახსნიდა ტფილისში თავის განყოფილებას, ამერთა თავად-აზნაურობამ მსგავსად ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობისა დაარსა საკუთარი, ნაციონალური საადგილ-მამულო ბანკი. მართალია ამ ბანკებში შემდეგ დიდი ალაგი დაიჭირა უცხო კაპიტალმაც, მაგრამ ძირითადი თანხა ბანკისა თავად-აზნაურობის თანხიდან შესდგა. აი ამ ბანკში აზნაურობის დიდძალი მამული იქმნა დაგირავებული. ორთავე სათავად-აზნაურო ბანკებში 1903 წელს დაგირავებული ყოფილა სულ 369,6 ათასი დეს. მიწა, მთელი ეს მიწა ბანკებს 14,483,1 ათას მანეთად დაუფასებია ხოლო სესხად ამ მამულში გაუციათ 7.942,0 ათასი მან. ასე რომ ბანკების მიერ სესხად ეძლეოდა მემამულეთ საერთო შეფასების 54,87%.

რაც განსაკუთრებულ ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ ამ ბანკების გარდა მამულის დავალიანება ხდება აგრეთვე კერძო პირებისაგან. გლეხები, სოფლის ჩარჩები, მევახშეები, სასულიერო პირები, ე. ი. ის მწარმოებელი კლასი ავალიანებს სათავად-აზნაურო მამულს, რომელიც ბატონ-ყმობის მოსპობისას სრულიად უმიწა-წყლოდ დასტოვეს.

ცხოვრების ახალმა ეკონომიურმა პირობებმა ფრიად გაშალა მწარმოებელ ძალების გასავითარებელი ასპარეზი. საქართველოს ამ ხანამდე არ მოსწრებია ისეთი გაწიწმატებული წინსვლა და განვითარება, რომელსაც ჩვენ ვხედავთ ცხოვრების ყოველ დარგში მე-70—80—90 წ. წ. ეს ხანა დიდად გამოიყენა ჩვენმა მწარმოებელმა ძალებმა და შეჰქმნეს, შეაგროვეს ერთნაირი სიმდიდრე, რომლითაც ადვილად შესძლეს მამული ხელთ ეგდოთ.

სწორედ ამ ხანამ სასიკვდილო იარა დააჩინა თავად-აზნაურობას. ცხოვრების მთელი სიმძაფრე თავად-აზნაურობისათვის ლახვარი გამოდგა, მან ველარ განავითარა თავისი ქონება, თავისი ძალა და საშუალებანი. ცხოვრებიდან გარიყული, უკან ჩამორჩენილი, ის ეკონომიურად უკან ჩამორჩა მესამე წოდების ხალხს, სხვათა ფულით იძულებული ხდება განაგრძოს ტკბილ [illegible] სამსახური და მით კიდევ ხელი შეუწყოს თავის ერთად-ერთ ავლა-დიდების დანგრევას—მამულის დაკარგვას.

როგორც სტატისტიკური მასალები გვიჩვენებს კერძო პირთა ხელში სულ დაგირავებული ყოფილა 1904 წელს 802,8 ათასი დესეტინა მიწა. რომ შევადაროთ დაგირავებულ მამულის რაოდენობა სახაზინო ბანკის, ტფილისის ბანკის და კერძო პირების ხელში დაგირავებულ მამულებს, დავინახავთ, რომ დაგირავებული ყოფილა

სახაზინო ბანკში 219,3 ათასი დეს.
ტფ. სათ.-აზნ. ბანკ. 140,3 „
კერძო პირების ხელში 302,6 „

ასე რომ მამულის დიდი ნაწილი კერძო პირების ხელში ყოფილა დაგირავებული. ე. ი. მთელ დაგირავებულ მამულის

45,69% ყოფილა კერძო ხალხის ხელში
33,12% „ სახაზინო ბანკის „
21,19% „ ტფილისის „ „
100%.

კერძო პირების ხელში ჩავარდნილი თავად-აზნაურობის ადგილ-მამული ტფილისის გუბერნიის მაზრებში შემდეგ ნაირადაა დანაწილებული:

მაზრაში	მიწა-ადგილი		ვალი	
	ა თ ა ს ი			
ახალქალაქის	1,8	დეს.	4,9	მან.
ახალციხის	18,2	„	232,6	„
ბორჩალოს	123,0	„	935,6	„
გორის	57,4	„	582,0	„
დუშეთის	10,0	„	132,9	„
სიღნაღის	29,8	„	461,5	„
თელავის	24,4	„	338,0	„
ტფილისის	29,8	„	812,5	„
თიანეთის	8,2	„	64,2	„
მთელ გუბერნიაში	302,6	„	3,564,2	„

როდესაც ამ საინტერესო ცხრილებს თვალს ავლებთ არ შეიძლება არ შენიშნოთ, რომ მიუხედავად იმისა, რომ კერძო პირების ხელში მეტი მიწა-ადგილებია დაგირავებული, ვალის-სესხის რაოდენობა ანალოგიურ სურათს როდი წარმოადგენს. მაგალითად მიწის დაგირავებით სესხად აღებული ფული უდრის:

სახაზინო სათ.-აზნ. ბანკიდან =5,412,3 ათასი მ.
ტფილისის „ „ =2,529,7 „ „
კერძო პირებიდან =3,564,2 „ „
მთელი ვალი =11.506,2 „ „

ასე რომ თავად-აზნაურობაზე ყველაზე მეტი ვალი—ფული გაუცია სახელმწიფო სათ.-აზნ. ბანკს, შემდეგ კერძო პირებს და უფრო ნაკლები ტფილისის სათ.-აზნაურო ბანკს. მაგრამ კიდევ უფრო რომ ჩავსდიოთ სინამდვილეს და შევიტყოთ თუ თვითეულ დესეტინაზე რამდენს იძლეოდა ეს სხვა და სხვა ხალხი, დავინახავთ, რომ მაზრების მიხედვით მამულის დაგირავებით თვითეულ დესეტინაზე იძლეოდა:

მაზრებში	სახ. ს.-აზნ. ბანკი.	ტფ. ს.-აზნ. ბანკი.	კერძო პირები
	მ ა ნ ე თ ე ბ ი:		
ახალქალაქის	—	—	2,61
ახალციხის	—	10,0	12,77
ბორჩალოს	26,77	16,66	7,60
გორის	22,62	20,20	10,13
დუშეთის	29,25	17,62	13,29
სიღნაღის	34,21	23,30	15,55
თელავის	24,23	19,49	13,85
ტფილისის	22,97	15,22	27,02
თიანეთის	17,23	14,48	7,82

ყურადღება რომ მივაქციოთ იმ შვიდ მაზრას, რომელზედაც ცნობები თანაბრადაა მოყვანილი, დავინახავთ, რომ თვითეულ დესეტინაზე სესხს იძლეოდა;

სახაზინო ბანკი 25,32 მან.
ტფილისის „ 18,13 „
კერძო პირებ. „ 13,80 „

აი ნამდვილი სურათი. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ამიერ საქართველოში მიწის სივიწროვე დიდია და იმასაც გავითვალისწუნებთ, რომ ამის გამო მიწის ფასი ძალიან აწეულია, უნდა გვეფიქრნა, კერძო პირები სესხად მეტს გასცემდენ ბანკებთან შედარებით, მაგრამ აქ ბანკების თავისუფალ ფულის სიდიადეს გადაუჭრია საკითხი.

ბანკებში დაგირავებული მიწა-ადგილი უმთავრესად მსხვილი ნაჭრებია. მთელ ტფილისის გუბერნიაში მაგალითად ორივე სათავად-აზნაურო ბანკებში დაგირავებულია:

ზომით		ათასი დეს.	საერთო მამულის
0—25 დეს.		3,6	1,0%
25—100	„	18,4	5,1%
100—500	„	77,7	21,4%
500—1.000	„	66,0	18,2%
+1.000	„	196,9	54,3%
გუბერნიაში.		362,6	100,%

ამნაირად, თავად-აზნაურობის მამულების მთელი ⅔—66,73% ბანკებისა და კერძო პირების ხელშია. ერთი მესამედი, რომელიც თითქოს თავად-აზნაურთა მიწადმფლობელობას ხელ-უხლებლად წარმოადგენს სინამდვილეს არ შეადგენს. ჩვენ ვიცით გარდა ზემოდ მოყვანილი ცნობების რამდენი ათასი მიწა-ადგილი ისყიდება მემამულეთა მიერ ამ თავისუფალ მიწა-ადგილიდან, რომელნიც ჯერ კიდევ არ ჩავარდნილან ბანკებისა და კერძო პირების კლანჭებში. თუ ქუთაისის გუბერნიის მაგალითს გავითვალისწინებთ, სადაც ბანკების გვერდით მამულები ნოტარიუსის წესით ბლომად იყიდება, თუ გაუწევთ ანგარიშს ამ ფაქტს, რომ მარტო ბატონ-ყმობის ლიკვიდაციის პირველ ხანებში 1870—1888 წ. წ. გლეხობამ თავად-აზნაურობიდან შეიძინა 9,5 ათასი დესეტინა, რომ ამავე ხანებში იქ თავად-აზნაურობის მთელი 80,38% [illegible] მამული, ხოლო გლეხობის ხელში 95,05% [illegible] როცა ყველა ამ ფაქტებს [illegible] სათანადოთ დავაფასებთ, მაშინ დავრწმუნდებით, რომ ტფილისის გუბერნიაშიც ეს ⅓ ნაკლები სათავად-აზნაურო მიწა-ადგილი არ იქნება ხელუხლებელი და სამუდამოდ შენახული.

მაგრამ ამავე დროს თუ წარმოვიდგენთ თვით ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა მიწა-ადგილის დავალიანების პროცესს, მესამედს, თუ დავაკვირდებით ამ ცნობას, რომელიც გვიხატავს მამულის დავალიანების გზას, დავრწმუნდებით, რომ თავად-აზნაურულ მიწად-მფლობელობას, რომელსაც უკვე მოლპობია საფუძველი, დიდი ხნის სიცოცხლე აღარ უწერია.

ასე მაგალითად ორივე სათავად-აზნაურო ბანკებში თავად-აზნაურული მამულ-დედულის დაგირავების მსვლელობა შემდეგ სურათს წარმოადგენს:

დაგირავებული იყო	ათასი დეს.	ათასი მან.
1875—1879 წ.	4,8	67,6
1880—1884 წ.	7,3	79,3
1885—1889 წ.	12,3	129,6
1890—1894 წ.	73,5	1.341,3
1895—1899 წ.	169,1	4.113,6
1900—1902 წ.	92,2	2.210,7

ეს მეტის მეტად საგულისხმო ციფრები თავად-აზნაურულ მამულის მთელ ტრაგედიას გვიხატავს. თავად-აზნაურულ მიწად-მფლობელობის პროცესი უკვე მალე საშინელი. დღეს ამ ხასიათის დაგირავება [illegible] განვითარებულა, რომ მისი პროგრესი [illegible] აღარავის ძალუძს. ამ მიწად-მფლობელობაზე ცხოვრების უკანასკნელი ჯვარი დაესვენება. [illegible] საჭიროა შემოდგომა, რომ [illegible] მამული ჩვენი ხალხის მწარმოებელი ხალხის ხელში გადავიდეს. [illegible] ბის მოუწყობლობის გამო [illegible] ჩვენი სამშობლო.

თევდ. ღლონტი.

რსითაა დაშორებული გორს. მდებარეობა აქვს ლამაზი-აღმოსავლეთით თვალუწვდენი ტრიალი მინდორი, მწვანედ მობიბინე, ქოჩორ დაყრილ სიმინდით, ოქროს ფრად მბზინავ ყანებით და ხნულებით აჭრელებული, დასავლეთით პატარა, გიჟმაჟი ლიახვი და ხშირი, ატეხილი მუხის ჭალა, სამხრეთ-ჩრდილოეთით კი ბაღ-ვენახები. თვით სოფელი ძალიან დიდი არ არის. შესდგება სულ 120 კომლისაგან. ამათგან 30 კომლამდე სომეხია, 12—13 კომლი აზნაური-ჯავახიშვილები. რამდენადაც ლამაზია სოფელი მდებარეობით, იმდენად ულამაზო, უსუფთაოა შიგნით. ორღობე 100—150 საჟენზე გაუვალ წუნწუხს წარმოადგენს და ვაი თქვენი ბრალი, ვიდრე ამ გზას გაივლიდეთ. ნახევარ არშინზე ხტომა ქვებზე, მიხლა-მოხლა და დამპალ წყლის ქუჟუნი სახეში,-ვერაფერ სიამოვნებას გაგრძნობინებთ. სოფელი ყოვლად უპატრონოდ, ღვთის ანაბარად, მიგდებული. ამაში უფრო დავრწმუნდი, როდესაც სოფელში შევედით. თითქმის ყოველ სახლის წინ პატივია შეგორავებული, ძველი თუ ახალი; ქათმები უხვად ჰქექენ და ისე ძნელად გაივლით გზაზე, რომ ფეხი არ გაისვაროთ. სჩანს სოფლის „ადმინისტრაცია“ ყურთ-ბალიშზე განისვენებს და მხოლოდ კალობაზე მოაგონდება ხოლმე თვალის გახელა და ჩანახ-ტომრის ხელში წამოვლება.

სწავლა-განათლების მხრივაც საკმაოდ ყოფილან ძევერლები ჩამორჩენილი. დღემდე სკოლა არ არსებობს. ამ ორი წლის წინად ადგილობრივ მღვდელს ჯავახიშვილს კერძო სკოლა გაუხსნია და მასწავლებლად თავისი ქალი დაუნიშნავს, რასაკვირველია იმ მოსაზრებით, რომ საქმე როცა დაყენებული გვექნება, სებართვას მალე ვიღებთ და ჩემს ქალსაც ადგილი გაუჩნდებაო, მაგრამ ქალს სკოლისათვის თავი მიუნებებია. დღეს „სკოლაში“ მასწავლებლობს ადგილობრივი მცხოვრები-ბედგინიძე, ტფ. ქართულ გიმნაზიის მეხუთე კლასის ყოფილი მოწაფე. მოსწავლეთა რიცხვი, როგორც გადმომცეს, 20—30-მდე ადის და თითო ბავში თვეში იხდის 50 კაპ. სჩანს სწავლის სურვილი ჰქონიათ აქაურ მცხოვრებთ, მაგრამ სავალალოდ ისეთი პირი არ გამოჩენილა ჯერ, რომ მეთაურობა ეკისრა და სოფელს ამ საქმეში დახმარებოდა. ეს კი ფრიად სამწუხაროა, რადგან ძევერა ინტელიგენტურ ძალებს არ არის მოკლებული. ყოველ ზაფხულს აქ საკმაოდ იკრიბებიან მასწავლებლები, უმაღლეს და საშუალო სასწავლებლების მოწაფენი და სხვ. მაგრამ... სოფლის ქოთ-ვარამს ანგარიშს არავინ უწევს და ისევ დაირა-გრამაფონზე ხტუნაობასა და უქმად დროს გატარებას და ხეტიალს არჩევენ. საჭიროა ამ გარემოებას წ. კ. საზოგადოებამ მაინც მიაქციოს ყურადღება, დაავალოს ვისმე ან თავისი კაცი გამოგზავნოს, გაეცნოს საქმის მდგომარეობას და თუ შესაძლებელი იქნება სკოლაც გახსნას. თუ კი მართლა გლეხები თვეში ათ შაურებს იხდიან, ბალღებს გუთანს აცდენენ და „სკოლაში“ ჰგზავნიან, რომ ან-ბანი შეისწავლონ, ვგონებ საქმის უფრო წესზე მოსაგვარებლად ბინას და შემას არ დაიშურებენ.

სკოლასთან ერთად არც თუ წიგნთსაცავ-სამკითხველო ჰქონიათ, მაგრამ ამ მხრივ სოფლის საქმე უფრო კარგად წასულა: მოსკოვის უნივერსიტეტის ლაბორანტის ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ჯავახიშვილის მეოხებით ტფ. ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოებას შარშან თვის საჟღლზე გაუხსნია აქ ბიბლიოთეკა-სამკითხველო და წიგნებიც გაუგზავნიათ. უბინაობისა თუ სხვა რამ მიზეზისა გამო ის დღემდე თურმე ვერ ასრულებდა თვის დანიშნულებას, როგორც შეეფერება, ეხლა კი ცალკე, სასოფლო ფიცრულის შენობაში მოუთავსებიათ, ეკლესიის გვერდით. ამ მკათათვეში აკურთხებენ შენობას და სამკითხველოც დაიწყებს მოქმედებას. საკითხველო ოთახი ერთია, პატარა, სიგრძით სულ ხუთი არშინი, ხოლო სიგანით ექვსი, აქვს ორი ფანჯარა და საკმაოდ ღარიბულად არის მოწყობილი.

სამკითხველოს 1911 წ. საღამოდან შემოსვლია 13 მ., წინა წლის საღამოს მიუცია 13 მ. 50 კ. მ. ჯავახიშვილს შეუწირნია 5 მ. მ. გედევანიშვილს 3 მ. ამ ფულიდან ხსენებულს წელს გამოუწერიათ „სახ. გაზეთი“ და „მოსავალი“, 1911 წ. 1 მარიამობისთვეს ჰქონიათ 25 მ. შენობაზე დაუხარჯავთ 20 მან. სამწუხაროდ შესავალ-გასავლის წიგნში შემდეგი ანგარიში აღარ იყო ნაჩვენები. სამკითხველოს განაგებს ა. ჯავახიშვილი. სამკითხველო ფრიად ღარიბია წიგნებით თუ ჟურნალ-გაზეთებით და იმედია გულშემატკივარი ადამიანები ამ მხრივ დახმარებას გაუწევენ.

მცხოვრებთა შემოსავლის წყაროს შეადგენს ხვნა-თესვა და მეხილეობა. მაგრამ პირვანდელ წესით დამუშავებული მიწა იმდენს შემოსავალს მაინც ვერ აძლევს გლეხს, რომ ხაზინაც გაისტუმროს, ერიც, მღვდელიც მოუნდურებლად და თავისი მდაბიო ცხოვრების პირველი მოთხოვნილებანიც დაიკმაყოფილოს. ბევრს შუა ზამთარში აკლდება ჭირნახული და იძულებული ხდება ზაფხულამდე ჩარჩისაგან აღებულ ვალით გამოჰკვებოს ცოლშვილი.

მეხილეობა აქ შემოსავლის ერთ უმთავრეს წყაროდ გადაიქცეოდა, ხეხილის რიგიანი მოვლა-გაშენება რომ სცოდნოდათ, მაგრამ მთავარი ჩვენი უბედურობა ხომ უმეცრებაა. ხეხილს არა სწამლავენ, რის გამოც უბრალო ჭია-ღუა თუ სხვა რამ სენი ადვილად უღებს ხილს ბოლოს და დიდი ხნის ნაშრომზე პატრონს ხელს აღებინებს. ყველაზე დიდი და საუკეთესო აქ ზედგინიძეების ბაღია. ექვს დღიურზე გადაჭიმულა. წინად აქ ვაზი ყოფილა, მაგრამ რაკი სარფა ვერა უნახავთრა, გაუჩეხიათ და ისევ ნამყენი ხეხილი ჩაუყრიათ. მაგრამ ხომ მოგახსენეთ ხეხილს არა სწამლავენ მეთქი, ხილი ალაგ-ალაგ ზედ ჩამომჭკნარა, ფოთოლი ნახევრად ჩამომხმარა, სჩანს ხეხილი დაავადმყოფებულია, მაგრამ რიგიანი მომვლელი არა ჰყავს.

წელს ხილს ნაკლები პირი უჩანს, „ქართულს“ ხეხილს სრულიად არ ასხია, ნამყენს ასხია თხლად.

მევენახეობაზე აღარა ითქმის რა. დავიარე ვენახები. მეტ წილში ვაზი ერთი-ერთმანეთს გადახლართვია და ერთ მთლიან დაბალ ფარდულს წარმოადგენს. რა იქნება აქ დამწიფებული ყურძენი მკითხველი ადვილად წარმოიდგენს. სჩანს ვაზის წამლობაში მწყრალად ყოფილან ძევერლები. ამიტომაც არის, რომ ვაზი ნაცრით ჩახარშულა, ჩამხმარა და მტევანიც, დიდი ხნის ნაციებსავით გაცრეცილი, საბრალოდ გამოიყურება. სხვა უამათოდ ამ ვაზს გასჩეხდა და უფრო მეტ სარგებელს მოატანინებდა მამულს, მაგ. ქარხლის, კომბოსტოს, ხეხილის თუ სხვა რამის დათესვა-დარგვით მაგრამ ეტყობა აქაურებს მჟავე ღვინო ძალიან ჰყვარებიათ, რომ ასეთ უხეირო ვენახს ვერ ელევიან და სარფის მაგიერ ხარჯის გაწევასა რჩეობენ.

ექიმობის მხრივაც უპატრონოდ ყოფილა სოფელი. ამ ჟამად, როგორც გადმომცეს, ძალიანა ყოფილა გავრცელებული მუცელა, ციებცხელება და თავის ტკივილი, მაგრამ ვინ არის ყურის მგდებელი და სოფელი კვლავ ექიმბაშ-მკითხავებს უკირავთ ხელში. რამდენი რამ შეძლოთ გაეკეთებინათ აქაურ ინტელიგენტებს გული რომ საგულესა ყოფილიყო!!.. მაგალ. აუხსნიდნენ გლეხებს მუცელას და სხვა სენის წარმომშობ მიზეზებს, მკითხავ-ექიმბაშების მავნებლობას, ჰიგიენის, სწავლა-აღზრდის მნიშვნელობის, ვაზის ხეხილის წამლობის სარფიანობას და სხვ., მაგრამ ხომ მოგახსენეთ ისინი გულ-აღმა წოლასა და ჭერში ბუზების თვლას რჩეობენ სასარგებლო საქმის გაკეთებას...

მეორე დღეს ვინახულეთ მოსკოვის უნივერსიტეტის ლაბორანტი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ჯავახიშვილი. ბევრ საჭირბოროტო საკითხებზე გვქონდა მსჯელობა, მაგ. ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალიაზე და სხვ. გავიხსენეთ ჩვენი დევნილი ეპისკოპოსებიც. კირიონის ნაშრომზე (Культур. роль Ивер...) მან სთქვა რომ ტანჯული ეპისკოპოსი მარჯვედ უსვამს ხაზს ივერიის გავლენას ძველ რუსეთის ცხოვრების განვითარებაზე, თუმცა ნაშრომი ცოტა აჩქარებულია და, რასაკვირველია, თავისი ნაკლიც სდევს თანაო. ბევრი სასაცილო ეპიზოდი გვიამბო პატივცემულმა ალექსანდრე ნიკოლოზისძემ რუსეთის სამღვდელოების ცხოვრებიდან.

ბოლოს გაიხსენა დონის მონასტერი (მოსკოვშია). ეს მონასტერიო, ბრძანა მან, ქართველ მეფეების და თავადიშვილების სავანეა, აქა მარხია ბაკური, ვახუშტი და სხვ. სტუდენტობის დროს იქ ხშირად დავიარებოდით, ვათვალიერებდით საფლავებს. სტუდენტებთან ერთად ამას წინადაც წაველი იქ სანახავად. ჩავედით ქვემო სართულში სადაც საფლავებია და ჩვენს გაკვირვებას საზღვარი არა ჰქონდა, როდესაც ეკლესია გატიხრული დავინახეთ. მეორე მხარეს მიწა აეთხარათ. ბერებმა იქ არ შეგვიშვეს—„რემონტს“ უშვრებიანო.

— თუ ქართველმა საზოგადოებამ დროზე ხმა არ ამოიღო, დასძინა პატივცემულმა მობაასემ, საფლავებს შეგვიგინებენ, ქვებს გარედ გადმოჰყრიან და იქ თავიანთებს დაასაფლავებენ, მით უმეტეს ის ისეთი ადგილია, რომ რუსის „მაღალი“ პირები ფულს არ დაჰზოგავენ ოღონდ იქ დაიმარხნენო.

დიდხანს ვბაასობდით კიდევ, შემდეგ გამოვეთხოვეთ, ვუსურვეთ ჯანმრთელობა, სიცოცხლე და მესამე დღეს უკვე გორში ვიყავით..

P. S. როგორც გადმომცეს, ამ მოკლე ხანში ძევერაში იხსნება წვრილი საკრედიტო დაწესებულება. აი ეხლა ადვილ ვალად აქაურ ინტელიგენტებს შრომა, ენერგია საქმის რიგიანად დასაწყებად. მოგეხსენებათ სოფელი ჩარჩ-ვაჭრებითაა სავსე. ამ საქეილო საქმეს პირველ ამოსუნთქვიდანვე გაუჩნდებიან მტრები, მაზე ცუდს ხმას გაავრცელებენ, შეეცდებიან ჩაჰკლან იგი სათავეში და თუ საქმე მარჯვედ არ იქმნა დაწყებული საკრედიტო დაწესებულება სასურველ ნაყოფს ვერ გამოიღებს...

სან-განიძე.

მოწერილი ამბები

სოფ. ზემოგომი (ქართლი). „კულტურული მუშაობაა საჭირო სოფლად“, აი ლოზუნგი ჩვენი თანამედროვე ცხოვრებისა, რომელსაც თავგანწირვით უნდა მისდევდნენ ჩვენი ინტელიგენტები სოფლად. ცოტანი არიან მომუშავენი, მაგრამ ვინც არის, გულდადებული მუშაობს და მხნედ ებრძვის მის გარშემო გამეფებულ წყვდიადს, როგორც გონებრივს, ისე ზნეობრივს; ბრძოლა კი დიდი სჭირდებათ: ნუ გავიწყდებათ, რომ სოფელს ჯერ კიდევ სძინავს, რომ ხალხის თვალში ინტელიგენციას სახელი გატეხილი აქვს, რომ თვით ინტელიგენცია დაქსაქსულია და ამისთანა გარემოებაში რისამე საქმის გაკეთება საჭიროებს დიდს ზნეობრივს ძალას, დიდს, წარმოიდგინეთ, თავ-განწირვასაც კი.

ძნელია სოფლად მუშაობა, მაგრამ ვინც მუშაობს, დიდი პატივისცემის და მადლობის ღირსია.

ამ მადლობის ღირსნი არიან წრომელი ინტელიგენტები, რომელთაც ხაშურელ სცენის მოყვარეთა დახმარებით გუშინ, 22 მკათათვეს, დადგეს სოფ. ზემო გომში (გორის მაზრა), „ფული და ხარისხი“ და „ადვოკატთან“, ადგილობრივ მუდმივ სცენის სასარგებლოდ.

დიდი გაჭირვება გამოიარეს ამ წარმოდგენის გამართვის მოთავეებმა. თავდაპირველად გაჭირდა ქალების შოვნა; ამას როგორღაც იყო მოუარეს; ახლა უარესი გაჭირვება დაადგათ ბინის შოვნისა. „საზოგადო დაწესებულებამ“—გომის სინდიკატმა შენობა არ დაუთმო წარმოდგენისათვის. დიდ გასაჭირში ჩაცვივდნენ მოთავეები, რომ შველა არ მოსვლოდათ იმ მხრიდან, საიდანაც მგონია, არ მოელოდნენ: დაეხმარა ადგილობრივი მსხვილი მოვაჭრე ბ-ნი გოკიელოვი, რომელმაც საჭირო ბინაც მისცა წარმოდგენისათვის უფასოდ და ფულიც კი მისცა მოთავეთ საჭირო ხარჯების გასამძღოლად. პატივცემული ბ-ნი გოკიელოვი სწორედ რომ ღირსია დიდის მადლობისა! სინდიკატმა, ამ ეგრედ წოდებულმა საზოგადოებრივმა დაწესებულებამ ვერ გამოიჩინა ის საზოგადო საჭიროების შეგნება, რომელიც გამოიჩინა კერძო მოვაჭრემ, ვერ აუღო ალღო ადგილობრივ სარგებლობას და ამ მხრივ იგი გასაკიცხია.

რაკი ამ ორ საკითხის მოვლა შესძლეს, დანარჩენებს ადვილად აუვიდნენ და წარმოდგენამ მშვენივრად ჩაიარა, მოთამაშენი სულ სცენის მოყვარენი გახლდნენ, და ამიტომ უფრო საინტერესო იყო ეს წარმოდგენა. ითამაშეს ყველამ კარგად: ცოტა მოიკოჭლებდნენ „ფულის და ხარისხის“ მესამე განყოფილებაში, სამაგიეროდ „ადვოკატთან“ ისეთი იშვიათი ანსამბლით და ხელოვნებით ჩაატარეს, რომ ქართულ მუდმივ სცენაზედაც კი არ მინახავს. მონაწილეობას იღებდნენ: ქ-ნი დავითაშვილი, ორჯონიკიძე, ტატიშვილი, ხანთაძე, ბ-ნნი ალექსიძე, ჯაფარიძე; ორჯონიკიძე, ტატიშვილი, კვალიაშვილი, ფალავანდიშვილი და სხვანი. დანარჩენ პირთა თამაშობის აღნუსხვას არ გამოვუდგები; ვიტყვი ერთს: ყველანი კარგად თამაშობდნენ, თამაშობდნენ იშვიათი ანსამბლითა და გატაცებით. ვუსურვებ ახალგაზდა სცენის მოყვარეთ გამარჯვებას და მხნეობას, რომ შემდეგშიც არ მოგვაკლონ კულტურული გასართობები ღარიბ ზემო ქართლს თავიანთი სასარგებლო მოღვაწეობით და მეცადინეობით.

სანდო.

მსახიობ ვ. გამყრელიძის 25 წლ. მოღვაწეობა.

შარშან შესრულდა 25 წელიწადი, რაც ქართულ დრამ. დასის მსახიობ ვიქტორ გამყრელიძე სცენაზე გამოვიდა და ამ ხნის განმავლობაში დაუღალავად და სვინდისიერად ემსახურება ქართულ სცენას. მართლა მას ამ უკანასკნელ წლებში მუდმივად სცენაზე ვეღარა ვხედავთ, მაგრამ დრო გამოშვებით მაინც გამოდის სცენაზე და თავის ნიჭიერი თამაშით ყოველთვის აკმაყოფილებს საზოგადოებას.

ამ სამი წლის წინედ, როცა თელავის საზოგადოებამ, იუბილეი გადაუხადა მის ძმას აგრედვე ცნობილ მსახიობ დათიკო აწყურელს, სწორედ მაშინ დაიბადა აზრი, რომ ვიქტორისათვისაც ეცათ პატივი.

ეს „შემდეგი“ სწორედ ეხლა უნდა იყოს. ჯერ ერთი მსახიობს თავის მოღვაწეობის 25 წელიწადი შეუსრულდა და ღირსია ქართველმა საზოგადოებამ მადლობა უთხრას და მეორე კიდევ ამ ჟამად ბ-ნი გამყრელიძე კახეთში (ახტალაზე) იმყოფება და თელავშიაც მოუხდება ყოფნა.

შეიძლება იუბილეები ყველას მოჰბეზრდა, მაგრამ ჩვენ უნდა დავაფასოთ თვით იუბილიარი პიროვნება და მოღვაწეობა და თუნდა ამ სიტყვასაც თავი დავანებოთ, ბ-ნი გამყრელიძე ღირსია, რომ ერთი წარმოდგენა გაიმართოს მის პატივსაცემლად, რაც უნდა დაერქვას ამას თუნდა იუბილეი, თუნდა ბენეფისი, რომელზედაც საზოგადოებას გაეცნობა მისი მოღვაწეობა და ამას-კი ორნაირი მიზანი ექნება: ერთი 25 წლის ნათესის მომკილი მიეძღვნება და მეორე ნივთიერად ცოტა დახმარება აღმოეჩინება, იმ ოჯახის წევრს, რომელიც ცოლშვილიანად ქართულ სცენას ემსახურება.

ჩემის აზრით ეს საქმე ისევ თელავის სცენის მოყვარეთ უნდა იკისრონ და დარწმუნებული ვარ მათი თაოსნობა და თანაგრძნობას არ იქნება მოკლებული.

დავიწყებული.

სხვა და სხვა ამბავი

რევოლვერი ჯოხში.

პეტერბურგის გრადონაჩალნიკის ბრძანებით ნიკოლაევის სადგურზე ფიცხლავ მოუთხოვიათ სწრაფი დახმარების ეტლი. საქმე ისა ყოფილა რომ მოსკოვიდან საგანგებო მატარებლით მოუყვანიათ გრადონაჩალნიკის ბიძაშვილი, იუსტიციის მინისტრის საგანგებო საქმეთა მოხელე რაკლინ-რუმიანცევი, რომელიც ფეხში ყოფილა დაჭრილი. როგორც გამორკვეულა, იგი თურმე მეტად მფრთხალი ადამიანი ყოფილა, მუდამ მკვლელები ელანდებოდა და ამიტომ ისეთი ჯოხი შეუძენია, რომელსაც ტარში რევოლვერი ჰქონია მოწყობილი. სეირნობის დროს ჩახმახისთვის უცაბედად ხელი დაუჭერია, რევოლვერი გავარდნილა და ტყვია ფეხში მოხვედრია.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

საზღვარ-გარედ

25 ივლისი.

იტალია.

რომი. გუშინ დაუწყიათ მზადება ზუარის ასაღებად.

პაპმა სამხრეთის ამერიკის ეპისკოპოსებს ენციკლიკა გაუგზავნა. ენციკლიკაში აღნიშნულია ინდოელების მდგომარეობა ამერიკაში და ეპისკოპოსებს ურჩევს, მისიები დაარსეთო. ენციკლიკაში აგრედვე აღნიშნულია დაუჯერებელი ბოროტებანი, ინდოელების დამონავება, დატყვევება და სხვა.

23 ივლისს, იტალიის ჯარმა ზუარი და ოაზისი აიღო. ჯარს თითქმის არავინ შებრძოლებია.

ოსმალეთი.

სტამბოლი. რამაზანის დროს სამხედრო წესები გამოაცხადეს. მინისტრებად ნამყოფნი თალაათი და ჯავიდი სალონიკს წასულან. გარდა კომიტლებისა, ყველა გაზეთი სიხარულით აღნიშნავს კანონიერების დამყარებას,

ხონთქარმა დიდ ვეზირისადმი მიმართულ რესკრიპტით სამინისტროს ნდობა გამოუცხადა და საყვედური უთხრა დეპუტატებს, რომელნიც უკანონოდ მოიქცნენ, კონსტიტუციის წინააღმდეგ შეიკრიბნენ და მაშინ გამოუცხადეს სამინისტროს უნდობლობა, როდესაც პალატა უკვე დათხოვნილი იყო. რესკრიპტი ჰნიშნავს ახალ პალატის მოწვევის ვადად პირველ ნოემბერსა და ბრძანებს, მთავრობას გავლენა არ უნდა ჰქონდეს არჩევნებზე.

დიდმა ვეზირმა გაზეთების რედაქტორები შეაგროვა და სთხოვა, დასამშვიდებელი წერილები ჰბეჭდეთო.

მოხელეებსა და სამინისტროს ბარათები ჩამოართვეს, რომ პოლიტიკაში არ ჩაერევიან და კომიტეტის კლუბებში არ ივლიან.

უსკიუბის ვილაიეთში ორი ყუმბარა აფეთქებულა. 45 კაცი დაღუპულა, 180 დაშავებულა. ჩერნოგორელებთან ბრძოლაში ოსმალები დამარცხდნენ და ჩერნოგორიის საზღვარზე პროზენიშტეს ბლოკჰაუზი დაჰკარგეს. დაუჭრიათ 30 და მოუკლავთ 24 ოსმალი. მაიკოვეცის ბლოკჰაუზი ოსმალებს შერჩენიათ. აქაც მოუკლავთ 13 და დაუჭრიათ 3 ოსმალი.

გაფიცვა.

მადრიდი. სამხრეთის ესპანიის რკინის გზათა მოსამსახურეებმა მთავრობას აუწყეს, 30 ივლისს გაფიცვას ვიწყებთო.

საფრანგეთი.

პარიზი. პეტერბურგის სააგენტოს სიტყვით, ტყუილი ყოფილა „ეკო-დე-პარის“ ცნობა, ვითომ საფრანგეთისათვის რუსეთს, გერმანიისა და რუსის იმპერატორთა შეხვედრამდე, პირობა მიეცეს, უშენოდ გერმანიასთან საგულისხმო რაზედმე არ ჩამოვაგდებ ლაპარაკსაო. ის ამბავი, ვითომ საფრანგეთ-რუსეთი ხელახლად შეთანხმებულიყვნენ, გამოუწვევია ალბად ამ ზამთარს გამართულ მოლაპარაკებას ოსმალეთ-იტალიის ომის გამო, რომელშიაც მონაწილეობას იღებდა რუსეთი, ინგლისი და საფრანგეთიო.

პარიზი. „ტანი“ სწერს, პუანკარეს გამგზავრებას მიზნად მხოლოდ უბრალო მოლაპარაკება აქვსო. იგი შეეხება მხოლოდ რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობას და იმ ღონისძიებებს, რასაც ევროპის მშვიდობიანობის დაცვა შეუძლიანო.

„პტი პარიზიენი“ სწერს, მოლაპარაკება რუსეთ-საფრანგეთის საზღვაო კონვენციის თაობაზე, პუანკარეს მგზავრობას იგი დიდს მნიშვნელობას აძლევს; ამას ევროპაში ვერც ვერავინ უარჰყოფსო. პოტსდამში შეხვედრის შემდეგ ხმა დავარდა, საფრანგეთ რუსეთს შუა შავმა კატამ გაირბინაო. ნამდვილად კი ასეთი მკვიდრი მეგობრობა, როგორც ეხლა, რუსეთსა და საფრანგეთს არა ჰქონია როდისმე. პუანკარე რუსეთს ალბად იმიტომ ჩავა, გამოარკვიოს, თუ რამდენად შეეფერება დროს საფრანგეთ-რუსეთის ხელშეკრულება, რომლის პრინციპს 1907 წელს ინგლისიც მიემხროო.

სხვა გაზეთებიც დიდ საპოლიტიკო მნიშვნელობას მიაწერენ პუანკარეს გამგზავრებას და აღნიშნავენ, ეს ამბავი იმის მომასწავებელია, რომ მეგობრობას მოქმედებით აღვივებენ და აძლიერებენო.

ოსმალეთის ნოტა.

ცეტინიე. ოსმალეთის ელჩმა ჩერნოგორიის მთავრობას შემდეგი ნოტა ჩაბარა: ჩერნოგორიის მთავრობამ წერილობით უნდა შეგვატყობინოს, რომ ჩერნოგორიის ჯარისკაცებს უბრძანა ოსმალეთის მიწა-წყლის მიტოვება. ჩერნოგორიის მთავრობამ მწუხარება უნდა გამოსთქვას მაიკოვეცის საზღვართან მომხდარ ამბის გამო. თუ მოთხოვნილებებს არ დააკმაყოფილებენ, ყოველ სადიპლომატიო ურთიერთობას მოვსპობთო.

„უსახის“ ბრალდება.

ტოკიო. გაზეთი „უსახი“ სასახლის ექიმებს ბრალსა სდებს, იაპონიის განსვენებულ იმპერატორისათვის კარგად ვერ მოუვლიათო.

რუსეთი

ხანძარი.

პეტერბურგი. ცეცხლი პეტრეს კუნძულზე დილამდე ვერ ჩააქრეს. გადამწვარა 30 შენობა. ზარალი 3 მილიონ მანეთამდეა. გამოძიება სწარმოებს.

სარევოლუციო ორგანიზაცია ბალტიის ფლოტში.

პეტერბურგი. სამხედრო-საზღვაო სასამართლომ გაარჩია საქმე ბალტიის ფლოტის სარევოლუციო ორგანიზაციისა. განაჩენი საჯაროდ გამოაცხადეს. ოთხს ოთხ წლის ნახევრის კატორღა გადაუწყვიტეს, შვიდს ოთხი წლისა, შვიდს ციმბირს გადასახლება, ერთს გამასწორებელ რაზმში ერთ წელიწადს ყოფნა, ერთს ერთი წლის სადისციპლინო ბატალიონი, ცხრას ნახევარ-წლის ციხე, ერთს ოთხი თვე და 29 კაცი გაამართლეს.

უცხოეთი

რუსეთ-საფრანგეთის საზღვაო კონვენცია.

ევროპის დიპლომატიურს წრეებსა და პრესაში დიდი გავლენა მოახდინა ფრანგული გაზეთის „ტანის“ ცნობამ რუსეთ-საფრანგეთის საზღვაო შეთანხმების შესახებ, რომლის მიზანიც მოკავშირეთა ფლოტის დანიშნულების გათვალისწინებაა მოსალოდნელ ომის დროს.

განზრახული საზღვაო შეთანხმება ახალს არას წარმოადგენს, იგი ბუნებრივი დამატებაა რუსეთ-საფრანგეთს შორის უკვე არსებულ კავშირისა და სამხედრო კონვენციისა. 1892 წელს 2 აგვისტოს მოხდა რუსეთისა და საფრანგეთის დაკავშირება; სოტა გილან პეტერბურგში ახლად შეკავშირებულებმა ხელი მოაწერეს სამხედრო კონვენციას, რომელიც ხსენებულ სახელმწიფოთა ლაშქრის მოქმედებას საზღვრავდა საჭირო მომენტის დროს. მაშინ მთელი ყურადღება ხმელეთის ჯარზე იყო მიპყრობილი და ფლოტის შესახებ ერთი სიტყვაც არა თქმულა.

მას შემდეგ სამთა კავშირმა ძლიერი ფლოტი გაიჩინა და რუსეთიც შეუდგა ახალ საზღვაო პროგრამის შემუშავებას. ამიტომ დაიბადა საკითხი არსებულ სამხედრო კონვენციის შევსებისა. რუსეთისა და საფრანგეთის კავშირი უყურადღებოდ ვერ დასტოვებდა სამთა კავშირის, განსაკუთრებით კი გერმანიის ფლოტის საარაკო ზრდას, რომელიც დღეს დიდს მეტოქეობას უწევს თვით „ზღვათა მბრძანებელ“ ინგლისს. რუსეთის საზღვაო შტაბის უფროსს, თავ. ლივენის პარიზში ყოფნის დროს, პეტერბურგსა და პარიზს შორის გაიმართა აზრთა გაზიარება ამ საქმის თაობაზე, რომელიც თუმცა ჯერ სრულიად არ დამთავრებულა, მაგრამ მისი მთავარი მოტივები მაინც საჯარო და გამორკვეული. ახალ კონვენციის დედა-აზრი ისაა, რომ მოსალოდნელ ომის დროს რუსეთის ფლოტმა ბალტიის ზღვაში უნდა დააბანდოს გერმანიის ძალთა დიდი ნაწილი და მით ხელი შეუშალოს ინგლისის ფლოტის წინააღმდეგ გასალაშქრებლად ჩრდილო ზღვაში. მაშინ გერმანია იძულებული იქნება, ხმელეთის ჯარი აღმოსავლეთის საზღვრებზე შეაჯგუფოს და ამნაირად დასავლეთის საზღვრები—საფრანგეთის მხრივ — დაასუსტოს. ხმელთა შუა ზღვაში კი რუსეთის ფლოტს უფრო მცირე მნიშვნელობა ექნება, რადგან იქ საფრანგეთ-ინგლისის შეერთებული ფლოტიც საკმაო იქნება სამთა კავშირის გაერთიანებულ ფლოტის საწინააღდეგოდ.

ამ რიგად, თუმცა განზრახული საზღვაო კონვენცია მოულოდნელს რასმე არ წარმოადგენს, რადგან იგი პირდაპირ გამომდინარეობს უკვე არსებულ შეთანხმებიდან, და დღეს თუ არა, ხვალ უნდა განხორციელებულიყო, მაგრამ გერმანულ პრესისათვის ესეც საკმაო იყო, რომ ერთი ვაი-უშველებელი აეტეხნა.

„ახალი საზღვაო შეთანხმებაო— ამბობს გაზეთი „ცეიტი“—კავშირია რუსეთ-საფრანგეთ-იტალიისა ავსტრია-გერმანიის წინააღმდეგ მიმართული“.

როგორც რუსეთის გაზეთები გადმოგვცემენ, ხსენებულ შეთანხმებას დაამტკიცებენ საფრანგეთის პრემიერ-მინისტრის პუანკარეს რუსეთში მოსვლის დროს, რომელსაც მახლობელ დროს მოელიან.

თეატრი და ხელოვნება.

საღამო გურჯაანში. 21 ივლისს კნ. ელისაბედ აბაშიძის დიასახლისობით გაიმართა საღამო ლიტერატურულ-მუსიკალურ განყოფილებით.

შემოსავალი უნდა მოჰხმარებოდა გურჯაანის წიგნთ-საცავს, რომელიც სულ სამი წელიწადია რაც არსებობს. წიგნთ-საცავს თავისი საკუთარი შენობა აქვს და თავისს საქმეებს ამგვარ საღამოების შემოსავლით უძღვება.

მრავალ-გვარ დაბრკოლებამ ხელი შეუშალა გამგეობის სურვილს, რომ საღამო საინტერესო ყოფილიყო და მეტი ხალხი მიეზიდნა.

ტფილისიდან მოწვეულმა ნიჭიერმა პოეტმა ი. გრიშაშვილმა თავისი რამდენიმე ლექსი ძლიერ ხელოვნურად წაიკითხა.

მთელი საღამოს ჭაპანის გაწევას ერთი კაცი, ვერ შესძლებს.

საჭირო იყო თვით გურჯაანში მყოფ მოსწავლე ახალგაზრდობაც დაჰხმარებოდა გრიშაშვილსა.

სიმებიან ორკესტრმა ქართულ სოფელში ქართულ საღამოზე ქართული სიმღერა იუკადრისა და ოდისსურ „ჰოირათი“ გაგვიმასპინძლდა.

საზოგადოდ, მთელი საღამო ქართულ ელფერს მოკლებულ იყო. უცხო ენა მეტი ისმოდა, თუმც უცხო ხალხი არა ყოფილა.

არ ვიცი რათა, ვახშამიც კი უფერული იყო: რუსის ჯარისკაცებივით „ურა“-ს ძახილით მიდამო გააყრუეს და „მრავალ-ჟამიერს“ „съ виномъ мы родились“ ირჩიეს.

ხალხი ძალიან ცოტა იყო. შემოსავალმა იქნებ ხარჯი ვერ დაჰფაროს.

ბაკურციხიდან მოწვეულ მონაწილეობის მისაღებათ მსახიობ რეიხშტადმა პირობა აღარ შეასრულა და არ გამოვიდა.

წელს თვით გურჯაანელნიც ჯეროვან ყურადღებით ვერ მოეკცნენ საღამოს.

კნ. ელისაბედ აბაშიძე ბევრს ეცადა, მაგრამ გარ-შემოხვეულთა გულგრილობა ვერ დასძლია.

მადლობა თავადის ასულს შრომისათვის.

იმედია სურვილს საქმეთ აქცევენ გურჯაანელი ახალგაზრდობა და კნ. ელისაბედ აბაშიძის თაოსნობით გლეხობას უფასო წარმოდგენას გაუმართავენ. **ვ. კარბელაშვილი.**

სოფ. კასპი (ქართლი). კვირას, 22 ივლისს, ადგილობრივმა ინტელიგენციამ გამართა ქართული წარმოდგენა. წარმოადგინეს ა. ცაგარლის „ჭკუისა მჭირს“ (ვოდ. 1 მოქმ.), ვ. გუნიას „დედის ერთა“ (ვოდ. 1 მოქმ.) და გრიშაშვილის „ტიმოთეს ლეღვი“ (ვოდ. 1 მოქმ.) წარმოდგენამ საკმარისად მწყობრად ჩაიარა—და კაი შთაბეჭდილება იქონია დამსწრე საზოგადოებაზე. სამწუხაროა მხოლოდ ის, რომ წარმოდგენას გლეხობა ნაკლებად დაესწრო, უმთავრესი ნაწილი მაყურებელთა ინტელლიგენტური და ნახევარ ინტელიგენტური საზოგადოება იყო.

როგორც გავიგეთ, იმავე ჯგუფს აზრათა აქვს ამ ზაფხულს კიდევ რამდენიმე წარმოდგენის გამართვა კასპში და მათი შემოსავლით ადგილობრივ სცენის გასამართ ფონდის დაარსება. მშვენიერი აზრია და სასურველია, რომ მალე განხორციელებულიყოს! შენიშნულია, რომ წარმოდგენების მართვა დიდად ანვითარებს სოფლელებს, აფართოვებს მათს აზროვნებას, ანვითარებს მსოფლმხედველობას. **შეუპოვარი.**

ღია წერილი გ-ნ აკაკი ფაღავას

ბ-ნო აკაკი! ამბავი გავიგე: ვითომც ზოგიერთ ადგილას შემდეგი გეთქვათ: მოსკოვში, სტუდენტებმა: შალვა ქარუმიძემ, ძმებმა ტატიშვილებმა და სხვათ, ცალკე რაღაც წრე დაარსეს, იმერლები და ქართლელ-კახელნი გაჰყვეს, ცალკე დაიწყეს მუშაობა და რაღაც პროვინციალური ანტაგონიზმი გააჩინესო. გთხოვთ, პატივცემულ „სახალხო გაზეთის“ პირით შემატყობინოთ მართალია ეს ხმა თუ ჭორი? მართლა დაგვედევით ასეთი უტიფარი ბრალდება თუ არა? იმედი მაქვს გულწრფელად აღიარებთ ყველაფერს. პასუხს ერთ კვირას ვუცდი. თუ ამ ხანში პასუხი არ გამეცით, ისე ჩავთვლი ვითომც გეთქვათ ეს სიტყვები მაშინ ისე მოვიქცევი, როგორც საჭიროდ დავინახავ. ამ ხანად ტფილისში მარტო ვარ, აქ ისინი არ არიან ვინც დაინტერესებულია ამ საქმეში, ამიტომ ჯერ-ჯერობით, მთელ საქმეს მე ვკისრულობ.

პატივის ცემით სტუდ.

იოსებ ტატიშვილი.

ვთხოვ, ვინც ამ საქმეში დაინტერესებულია, კერძო წერილებით თავისი მისამართი და აზრი მაცნობოს. ჩემი მისამართი: „სახალხო გაზეთის„ კანტორა. **ი. ტ.**

წერილი რედ. მიმართ

მართალია, არ არის მიღებული რომ ავტორმა რეცენზენტს პასუხი გასცეს, ან გამოეკამათოს შესახებ რეცენზიისა, მაგრამ რეცენზენტებმა მაიძულეს მწერალთა შორის ეთიკის დარღვევა. გ. დუტუ მეგრელმა გაზ. „ქართლში“ და ბ. ერედველმა „სახალხო გაზეთში“ ჩემს „ჯადოსანს“ ისეთი რამ მიაწერეს რომ, შეუძლებლადა ვცნობ დუმილს.

როგორც დ. მეგრელი, აგრეთვე ბ. ერედველიც, მწამებენ ჩვენი ერის შეურაცხყოფას, ცილის წამებას. დ. მეგრელის სიტყვით, აღელვებულა და აღშფოთებულა „ჯადოსნის“ წარმოდგენაზე მყოფი საზოგადოება და ერთხმად დაუძახია: „ეს რა სისულელეაო!“ ბ. ერედვლის სიტყვით, „პირშავად გამიყურებოდა თვით ბ. კონსტან ანდრონი, რომელიც ამ დღეს საგანგებოდ ჩამოსულიყო“ (ე. ი. გორში „ჯადოსნის“ წარმოდგენაზე).

რით გამოიხატა ჩემი დანაშაული წინაშე ქართველ ერისა? იმით რომ „ჯადოსანში“ ავწერე თუ როგორ უყვარდა მეწისქვილეს თავისი რძალი და რა სახსარს მიმართა მიზნის მისაღწევად. მინდოდა მეჩვენებინა (ჩირიკოვის დახმარებით) თუ რა მძლავრია ძალა სიყვარულისა და რას არ ჩაადენინებს იგი ადამიანს. ამისათვის ვიხმარე მასალად ჩირიკოვის პიესა დ ჩვენი გლეხკაცობის ყოფაცხოვრება. ჩირიკოვის პიესა გამოდგა ჩონჩხად დრამატიულ ფორმისა, ჩვენი გლეხკაცობის ყოფა ცხოვრება-კი—ხორცად. რად მიაწერე ქართველ მეწისქვილეს ის, რაც მხოლოდ „ტყაპუჭიან“ და „კიზიროკიან“ გლეხის გახრწნილობას შეუძლიაო! რძალს მამამთილი თავის დღეში არ შეიყვარებსო! რატომ? თუ კი ნათლია ნათლი დედას შეიყვარებს, მაზლი რძალსა, ბიძაშვილი მამიდაშვილსა და სხ.? ხშირად ხდება ასეთი რამ ჩვენს ქვეყანაშიაც.*)

კოსტან ანდრონი.

---

*) ვბეჭდავთ ამ წერილს, მაგრამ უნდა მოვახსენოთ ბ-ნ კოსტან ანდრონს, რომ ყველაფრის გამომზეურება „რაც ცხოვრებაში ხდება“ ხშირად შეუწყნარებელია და კანტიკუნტი მაგალითი საბუთად არ უნდა გამოვიყენოთ საზოგადოებრივ სულთათქმის დასახასიათებლად. **რედ.**

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. კურდღელაშვილი.

გამოსადეგი ცნობა

მატარებელთა მიმოსვლა

(საზაფხულო).

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან გადის.

ბაქოსაკენ: ჩქარი მატარ. № 2, პლაცკარტით დილის 10 ს. 8 წ. **საფოსტო** № 4, ღამის წ. 12 ს. 10**სახალხო** № 6, ნაშუადღ. 2 ს. 44 წ. **ნარევი** მე-V კლ. ვაგ, ან მე-III, დილის 4 ს. 37 წ.

ბათუმისაკენ: ჩქარ. მატ. № 11, პლაცკარტით ღამის 10 ს. 44 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. 41 წ. **სახ.** № 5, საღ. 6 ს. 36 წ. **ნარევ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. დილ. 6 ს. 18 წ.

ბორჯომისაკენ: სახ. № 7/8 დილ. 7 ს. 58 წ. **სახ.** № 9/10 ნაშუადღ. 3 ს. 5 წ.

მცხეთაში: სააგარაკო მატ. № 77 a **, ნაშუადღ. 3 ს. 55 წ. **სააგარ. მატ.** № 77 **, დილ. 8 ს. 45 წ.

ჯულფისკენ: საფოსტო № 74/75 ღამის 12 ს. 40 წ.

ერევნისაკენ: სამგზ. და **საბარგო მატ.** № 78/79, მე-II და მე-I კლ. ვაგონ., საღ. 7 8 წ. **სახ.** და **საბარგ. მატ.** № 109|104 I—III კლ. ვაგ. დილ. 1 ს. 28 წ.

ტფილისში მოდის.

ბაქოდან: ჩქარ. მატ. პლაცკარტ. № 1, საღ. 9 ს. 56 წ. **საფ.** № 3, დილ. 8 ს. 41 წ. **სახ.** № 5, ნაშუადღ. 5 ს. 51 წ. **ნარ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. № 107, დილ. 4 ს. 56 წ.

ბათუმიდან: ჩქარ. მატ. პლაცკ. № 12, დილ. 9 ს. 18 წ. **საფ.** № 4, საღ. 11 ს. 15 წ. **სახ.** № 6, ნაშუადღ. 1 ს. 59 წ. **ნარ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. № 106, ღამ. [illegible] ს. 40 წ.

მცხეთიდან: სააგარაკ. № 76 a*, საღ. 8 ს. 28 წ. **სააგ.** № 76 **, ნაშუადღ. 1 ს. 28 წ.

ბორჯომიდან: სახ. № 9|10 საღ. 9 ს. 8 წ. **სახ.** № 7|8, დილ. 7 ს. 8 წ.

ჯულფიდან: საფ. № 72|73, დილის 7 ს. 26 ს.

ერევნიდან საქონ. და **სახ.** № 80|81, შუადღის 12 ს. 48 წ. **საქონ.** და **სახ.** № 110|111, ღამ. 8 ს. 33 წ.

გემების მიმოსვლა

საზაფხულო შავზღვასა და კასპიის ზღვაზე

რუსეთის სავაჭრო-სანაოსნო ამხანაგობისა

ბათომიდან გადის:

1 **ირგვლივ მოსიარულე**, სამშაბათ ღამე 12 ს. 30 წ. ყველა ნავთსადგურებში შევლის, 2 **ირგვლივ მოსიარულე** ხუთშაბათს ღამის 12½ ს. პირდაპირი ბათომ-ყირიმისა, შაბათ ღამ 12½ საათზე გაუვლის სოხუმს, გაგრას, სოჩას, ტუაპსეს, ნოვოროსიისკს, ფეოდოსიას, იალტას, სევასტოპოლსა და ევპატორიას.

სამგზავრ. გემები ყველა ნავთსადგურში შემვლელი ორშაბათობით 12 ს. დღისით და შაბათობით დღის 12 საათზე. დაწვრილებითი ცნობანი შეიძლება მიიღოთ ტფილისში ველიამინოვის ქუჩაზე № 18. ტელეფონი № 11. იქვე იყიდება სამგზავრო ბილეთები და საქონელი, ბარგის ჩაბარება და დაზღვევა იქ შეიძლება.

სანაოსნო ამხანაგობა კავკაზი და „მერკური“

ბაქოდან გადის:

ასტრახნისკენ კვირაობით, ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით შუადღის 12½ ს.

კრასნოვოდსკში ყოველდღე საღ. 8 საათ.

ასტრაში ხუთშაბათობით საღამოს 6 საათ.

ლენქორანში ორშაბათობით საღ. 6 საათ.

ენზელში (პირდაპირი ჩქარი) სამშაბათობითა და პარასკევობით საღამოს 6 საათზე.

კრასნოვოდსკსა, ჩიკიშლიარსა, ასტრაბადსა, მეშედესერეს ხუთშაბათობით საღამოს 8 საათზე.

მტკვრისაკენ კვირაობით, სამშაბათობით ხუთშაბათობით და პარასკეობით საღამოს 6 საათზე.

ბაქოში მოდის:

ასტრახნიდან ყოველდღე საღ. 8 საათზე.

კრასნოვოდსკიდან ყოველდღე დილის ს. 45 წ.

ასტარიდან ხუთშაბათობით საღ. 6 საათ.

ლენქორანიდან ხუთშაბ. დილის 8 საათ.

ენზელიდან (პირდაპირი და ჩქარი) პარასკევობითა და ორშაბათობით დილ. 11 ს.

მეშედერესიდან, ასტრაბადიდან, ჩიკიშლიარიდან და **კრასნოვოდსკიდან** სამშაბათობით დილის 6 ს. 45 წ.

ყოველგვარი ცნობანი, რკინის გზის ბილეთი და პლაცკატები საქონლის გაგზავნისა თუ დაზღვევის საქმე იკითხეთ **ტფილისში** ერევნის მოედანზე № 3. ,,**კავკაზ ი მერკური**'' ტელ. 682.

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1, 2—9 **პ. ფომინა-ოსიპოვისა** (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 8, 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

10, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

ქალაქის საავადმყოფოები

მთავარი—მუხრანის ქუჩა, 9.
ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.
ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.
კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

უფასო საექიმო დახმარება

ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები	
1—2	**გ. ა. გედალინი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).
3—4	**მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).
5—6	**ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).
6—7	**შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 816).
8—9	**ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).
10, 11—12	**ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 71

განცხადებანი

სამშობიარო თავშესაფარი თუხარელისა,

გოლოვინის პროსპექტისა და გრიბოედოვის ქუჩის ქიმში, № 34, ფეოდოსიის ეკლესიის გასწვრივ. იღებენ ფეხმძიმე და მშობიარე ქალებს დღე და ღამ ყოველ დროს. ცალკე ნომრებიც არის ხელმისაწვდომ ფასებში და საზოგადოც. ორ-საწოლიანი ოთახი 2 მან. და მომშობიარებისათვის 6 მან. არის საზოგადო ოთახში ხელმისაწდომ ფასში, დღე-ღამეში 1 იან. იღებენ დედათა ავადმყოფობით სნეულთა და საბებიოს საქმისათვის. ძიძებსა და მოახლეებს ყოველ დღე, დილის 11—12 ს.-მდე მოწმებს. თავშესაფარის გამგე ექიმი **მ. გ მირტუმოვი.** (თ. 1037.42)

სამკურნალო

ექიმთა საზოგადოებისა

მუდმივის საწოლებით.

მიხეილის ქუჩა, № 59, მიხეილის საავადმყოფოს პირდაპირ, ტელეფონი № 1026.

იღებენ ავადმყოფთ:

ბლაჯანოვი—საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის სნეულებისა—დღის 11—12 ს.

ვ. ვ. ვნუკოვი—ქირურგიულ სნეულ. ნაშუად. 1—2 საათამდე.

ეგიაზაროვი ი. ნ.—შინაგან, ნევრვებსა სულით-ავადმყოფთ. ელექტროტერაპია დილი 11—12 საათამდე.

კიმონტი გ. პ.—ქირურგიულ სნეულ. დილის 11—12 საათამდე.

მაგაკიანი გ. ნ.—შინაგან სნეულებ. და ბავშვების ავადმყ. დილ. 11½—12½ სთ.

ა. დ. კალმიკოვისა-ვნუკოვისა—დედათა ავადმყ.—დილ. 11—12 ს. სამკურნალოში ელექტრონითა და მასაჟით სწამლობენ. მიკროსკოპიულ, ბაქტერიოლოგიურ და ქიმიურ გამოკვლევას ახდენენ. ყვავილს უცრიან. ძიძებს ამოწმებენ. რჩევის ფასი 50 კ. ოპერაციებისა და კონსულტაციების ფასი—მორიგებით. სამკურნალოს სტაციონალური განყოფილება შესდგება საზოგადო პალატისა და ცალკე ნომრებიდან.

წამლობა ,,606''-ით.

(0—1253—87)

ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.

დილით:

„606“—11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტატიურად.

ზ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.

ზ. გ. აგახაროვი: 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.

კ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა,

ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

გ. ი. გურგენოვი: 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელიქიანი** —2 ს. სბებიო დ. ქალების ავადმ.

საღამოთი:

მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ზ. ა. ნავასარდიანი.**

(წ. 1074.112

ქართულ ენაზე ჭრა-კერვის წიგნი

თვით-მასწავლებელი 128 ნახატით, ახალი მეთოდი. ექვსი ნაწილი: ქართული, იმერული, ევროპიული, თეთრეული მანდილოსანთ და ბავშვთათვის. ჟურნალების მოხმარება. შედგენილი და გამოც. **სოფიო ი. სიმონოვის მიერ.** ყდით 3 მ., გაგზავნით 3 მან. 50 კ. ვინც ათზე მეტს იყიდის ფოსტის გასაგზავნი არ გადახდება. წიგნის გამოწერა შეიძლება ფასდადებითაც.

მისამართი; Телавъ, школа кройки и шитья Соф. Іос. Симоновой. Бульварный пер., 2, соб. д. (100—1231—24)

ფეხსაცმელები

თომა დ. ჯანუარაშვილის

მაღაზია-სახელოსნოში

მუხრანის ქ., № 2.
ყოველ ნაირი ფეხსაც საუკეთ. მასალ, ზომიერ ფასებში.

(25.549.5)

სახელოსნო და საწყობი ძეგლებისა.

ძმ. აგლაძეების.

მიხეილის პროსპ. № 48.

ვღებულობთ ყოველნაირს მარმარილოს, ლაბარატორის გრანიტის და ყოველნაირ მოზაიკის სამუშაოს, იატაკებსა და სხვებს ხელმისაწდომ ფასებში.

(0.—522—12)

გამოსულია და იყიდება

არჩილ ჯორჯაძის

თხზულებანი:

I ტ. „ეროვნულ პრობლემის გარშემო“ ფასი „ „ „ „ 75 კ.
II „ „ჩვენი საზოგადოებრივობა „ „ „ „ „ 80 კ.
III „ „ნააზრევი“ „ „ „ „ „ „ „ 65 კ.
IV „ „წერილები „ცნობის ფურც.“-„მოამბ.“ 1901—1902 წ. „ 85 კ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოსულია და იყიდება

ნ. შიუკაშვილის

პიესა „მემოვრობა“, დრამა 4 მოქმედებ.
ფასი 30 კაპ.

საუკეთესო მსხვილ-მარცვლოვანი ხიზილალა!!

თევზის მრეწველნი

ძმ. ძებველოვები.

მშვენიერი გემოსი და სურნელოვანია. მომზადების საუკეთესო საშუალების წყალობით დიდხანს უძლებს გადატან-გადმოტანას და ამიტომ ვურჩევთ საავარაკოდ და საზღვარ-გარეთ მიმავალთ მის შეძენა

პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.
ტელეფონი № 712.

მივიღეთ აგრეთვე ბოჭკის საუკეთესო

ხიზილალა,

გირვანქა 1 მ. 60 კ.

ყურადღება!

(წ.1131.215)

შპალიერი

ე. ა. ცატუროვის

დეპოში

მიღებულია დიდძალი ნაირ-ნაირი შპალიერი, ახალ სახიანი

რუსეთისა და საზღვარგარეთის საუკეთესო ქარხნებისა.

ფასები 8 კ—დან თოფი (სრულ ზომიანი) აუარებელ ხარისხისა.

ნიმუშებს ვგზავნით პირველ მოთხოვნილებისათანავე.

ტფილისი, სასახლის ქუჩა, ტელეფონი № 238.

(40—1400—2)

გთხოვთ პირადად დარწმუნდეთ!

გთხოვთ პირადად დარწმუნდეთ!

საუკეთესო ღირსების, ქალაქის ქიმიურ ლაბორატორიაში გასინჯული და მოწონებული, **ნადული წყლით მომზადებული პურის კვასი**

გემო

ვერა ბელინსკის ქ., № 13.

მზადდება პირველ ხარისხოვან მასალისაგან; სისუფთავე ყოველის მხრით დაცულია. გთხოვთ პირადად დარწმუნდეთ და არ აურიოთ **„ჩვენი გემოს“**, რომლის სახელი და ეტიკეტი დამსგავსებულია **„გემოს“** ეტიკეტთან. ჩვენი მოწინააღმდეგეების მიერ გავრცელებული ხმა ვითომ ფირმა „[illegible]მო“ გაუქმებულია—ტყუილია. ფირმა **„გემო“** ისევ არსებობს და არსებობს იმავე სახელით და იმავე ალაგას. (10.1296.9)

გთხოვთ პირადად დარწმუნდეთ!

გთხოვთ პირადად დარწმუნდეთ!

ქონებრივი მდგომარეობა

ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა.

1 ივლისს, 1012 წელს.

აქტივი (აქვს).

1. კასსა, ნაღდი ფული		8506	06
2. სახელდახელო ანგარიში:			
ა) სახელმწ. ბანკში და ხაზინაში	130,—		
ბ) ქუთ. განყ. აზ. დ. კ. ბანკ.	3417,94	3547	94
3. სარგებლ. ქაღალ.			
ა) სათადარიგო თანხ. ანგარ. მ.	1254,13		
ბ) საზოგადოების ანგარ. „	— —	1254	13
4. განაღდება თამასუქებისა არა ნაკლებ ორის ხელის მოწერით		47737	68
5. განაღდება სარგ. ქაღალდ. კუპონები და ადგ. უზრუნვ. ყოფ. შავ ქვ. ადგ.		58785	58
6. პროტ. წასული თამასუქ. (უზრუნ.-ყოფ. თანხა იხ. გ. პას.)		5705	70
7. სესხი გაც. გირავ.			
ა) სარგ. ქაღალდები უზრუნ.-ყოფილ სარგ.	— —		
ბ) სარგ. ქაღალდები არა უზრუნ.-ყოფ. მთავ. მიერ	00,00 —		
გ) შავ-ქვაზე	124248,51		
დ) საქონელზედ	222,60	124471	11
8. კორესპონდენტ.	— —		
ა) იმათ ანგარ.	3231,52		
ბ) საზოგ. ანგარ.	1,00	3232	52
9. გერბ. ქაღალდ. და თამ.		195	81
10. მოწყობა-გამართვა საზოგად.		2901	87
11. ხარჯი დასაბრ.		6962	21
12. ზარალი 1905 წ.		207	61
13. მიმდინარე ხარჯი		3103	17
14. მიცემული სარგებ. და კომისია.		8032	37
ბალანსი.		**274643**	**76**

(ემართებს) პასსივი.

1. თანხა, რაიცა შესდგება 10 პროცენტ. შემ. სასწ. ფულით 216 წევრთა მიერ, მიცემულ ვალდებ. რაოდ. საზ. წინაშე		18280	—
2. დასაბრ. საწევრო ფული, თანახმად §§ 12 და 14 წეს. საზოგ.		361	24
3. თანხა:			
ა) სათადარიგო	5513,93		
ბ) ამორტიზაც	2050,76		
გ) პროტ. წას. თამასუქების უზრუნ.-საყ., შემდეგ 1906—11 წ. მოგებიდან	5705,70	13270	39
4. შემოტ. ფული:			
ა) სახელდ. ანგ.	52821,49		
ბ) ვადით	42401,52		
გ) უვადოთ	400,00—	95623	01
5. განაღდ. თამას. საზოგად. მიერ			
ა) სახელ. ბანკის განყოფ. მან.	12400,00		
ბ) სხვა და სხვა საზოგ. ბანკები.	19716,94	32116	94
6. საგანგებო სახ. ანგარ.-უზრ.-ყოფ.		—	—
ა) სარგებლ. ქაღალდ. მან.	958,00		
ბ) შავის ქვის	43004,38	43962	38
7. სესხი აღებ. საზ. მიერ შავი ქვის გირავნობით		35616	82
8. კორესპონდენტ.:			
ა) იმათის ანგარ. (Loro)	529,98		
ბ) საზოგ. ანგარ. (Nostro)	16501,57	17040	3
9. გადასაგზ. შემოტ. ფული		1500	—
10. გარდამავ. თანხა		3991	4
11. სარგებელი მიუღებელი ფულის შემომტანელთა		1262	7
12. 5% პროც. სახელ. გარ.		141	1
13. წმინდა მოგება 1912 წლისა		—	—
14. შემოსული სარგებელი		11477	3
ბალანსი.		**274643**	**76**

თავმჯდომარე გამგეობისა **თავ. ი. გ. აბაშიძე.**
ბუხჰალტერი **სოფ. ტარუაშვილი.**
(1.1103.1)

დირექტორები: (**ქ. დ. წერეთელი.**
(**ნ. ზ. წერეთელი.**

ტფილისი, მუხრანის ქუჩა № 12 სტამბა „შრომა„